საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 122 (667)
ხუთშაბათი, 10 ივნისი, 1993 წელი.
ფასი 10 კუპონი.

[illegible]

ცნობები აფხაზეთიდან

8 ივნისს მოწინააღმდეგე მხარე მთელი დღის განმავლობაში აქტიურობდა მდინარე გუმისთაზე გამავალ ფრონტის ხაზზე.

14 საათსა და 20 წუთზე აფხაზურმა მხარემ „გრადის“ ტიპის რეაქტიული დანადგარებიდან ცეცხლი გაუხსნა დაბა აგუძერას. აფეთქდა 12-მდე ჭურვი.

15 საათიდან მოწინააღმდეგე პერიოდულად ბომბავდა ქართულ პოზიციებს ტანკებიდან, ქვემეხებიდან, ნაღმსატყორცნებიდან.

18 საათზე აფხაზურმა მხარემ რუსეთის სამხედრო ლაბორატორიის მიმდებარე ტერიტორიიდან მსხვილკალიბრიანი შორსმსროლელი ქვემეხებით, ჰაუბიცებით დაიწყო სოხუმის სხვადასხვა რაიონის დაბომბვა, ჭურვები აფეთქდა „შუქურას“ და სოხუმის რკინიგზის სადგურის რაიონში. საბედნიეროდ, დაბომბვას მსხვერპლი არ მოჰყოლია. უმნიშვნელოდ დაზიანდა რამდენიმე შენობა და ნაგებობა.

21 საათსა და 20 წთ-ზე ახალი ათონის აკვატორიაში შემჩნეულ იქნა მოწინააღმდეგის გემები, მათ შორის ერთი სამხედრო-სადესანტო გემი.

სარწმუნო წყაროებით დადგენილია, რომ მათ ჩამოიტანეს მძიმე სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა.

დაახლოებით ღამის 3 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგის გემები შემჩნეულ იქნა „შუქურას“ და „ბაბუშარას“ რაიონში.

4 საათსა და 20 წუთიდან მათ ცეცხლი გაუხსნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების სანაპირო დაცვის ნაწილებმა და აიძულეს მოწინააღმდეგის სამხედრო გემი, შეეწყვიტა საომარი მოქმედება და უკან გაბრუნებულიყო.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, აქ 8 ივნისის დღემ და ღამემ მშვიდად ჩაიარა, საომარი მოქმედება არ ყოფილა.

ილია გობეჩია.

* * *

საინფორმაციო სააგენტო „კონტაქტის“ ცნობით, ამ რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის ეგრეთ წოდებული უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილემ გენადი ბერულავამ მოსკოვში „იმპერსის“ კორესპონდენტს განუცხადა საქართველოსა და უკრაინის რესპუბლიკების სპეცსამსახურების თანამშრომლობის შესახებ. თითქოსდა ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავდეს აგენტების გადმობირებასა და მომზადებას აფხაზეთში შესაგზავნად ინფორმაციის მოპოვებისა და სხვა ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. ეს ინფორმაცია ბერულავამ დაადასტურა 26 მაისს ჟურნალისტებთან გამართულ ბრიფინგზე. ამას გარდა, 24 მაისს აფხაზეთის ეგრეთ წოდებულმა თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 22-23 მაისს საქართველოს ჯარების ხელმძღვანელობამ სოხუმში გადაისროლა 500 დაქირავებული პირი უკრაინიდან, და მათი რაოდენობა დღეისათვის უკვე 1000-ს სჭარბობს. მათივე თქმით, საქართველოს სპეცსამსახურის ზოგიერთი თანამშრომელი მომზადებას გადის უკრაინაში. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური უფლებამოსილია განაცხადოს, რომ უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების სპეცსამსახურებს შორის არ არსებობს შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ. ამიტომ გამორიცხულია ამ სამსახურების მიერ რაიმე ერთობლივი ღონისძიებების გატარება.

„კონტაქტი“.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ანდრია კოზირევი:

„უზრუნველვყოთ რუსეთისა და ტერიტორიულად მთლიანი საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა“

რუსეთის დელეგაცია საქართველოში

9 ივნისს თბილისში სამუშაო ვიზიტად იმყოფებოდა რუსეთის დელეგაცია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში რუსეთის ხელმძღვანელობაში ისეთი გავლენიანი ადამიანების შეყვანა, როგორებიც არიან უშიშროების მინისტრი ვიქტორ ბარანიკოვი, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი ბორის გრომოვი, რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი, საქართველოსთან მოლაპარაკებაზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დელეგაციის ხელმძღვანელი ფელიქს კოვალიოვი, თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ალექსანდრე გალკინი, საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი გენადი ილიჩოვი, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ვლადიმერ კაზიმიროვი და სხვა პასუხისმგებელი პირები, მოწმობს რუსეთის დელეგაციის სერიოზულ განზრახვას.

საქართველოს დედაქალაქში ვიზიტის დროს, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა, ანდრია კოზირევს თითქმის ორსაათიანი საუბარი ჰქონდა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან დახურულ კარს მიღმა. შემდეგ საუბარში ჩაებნენ ორივე მხარის წარმომადგენლები. განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიც არის აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარება, ტყვარჩელსა და სოხუმში ჰუმანური დახმარების განაწილება, აგრეთვე საქართველოსა და რუსეთს შორის დიდი ყოვლისმომცველი შეთანხმების საბოლოოდ დამუშავება, რათა მომზადებული იყოს იგი ხელმოსაწერად საქართველოში ბორის ელცინის სტუმრობის პერიოდში.

შეხვედრის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბარში, ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილება გამოთქვა მისი შედეგების გამო, ნაყოფიერი უწოდა საუბრების შედეგებს.

ანდრია კოზირევი შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიკვაიძეს. ვიქტორ ბარანიკოვს საუბარი ჰქონდა ინფორმაციისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან ირაკლი ბათიაშვილთან, ბორის გრომოვი შეხვდა საქართველოს თავდაცვის მინისტრს გიორგი ყარყარაშვილს.

გუდაუთაში გამგზავრების წინ ანდრია კოზირევმა ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა:

—ჩვენი ჩამოსვლა საქართველოში მოსკოვის შეხვედრის გაგრძელებაა. და ჩვენ ვაპირებთ მტკიცედ მოვითხოვოთ როგორც ქართველთა, ასევე აფხაზთა მხარეებს დაადასტურონ დაზავების სრული გარანტიები. გარანტირებული იქნება საქართველოს მთლიანობა და აფხაზეთის უფლებები. რუსეთი ველარ აიტანს სისხლისღვრას. ჩვენ არ დავუშვებთ ადამიანთა დაღუპვას და ახალ ნგრევა-გაჩანაგებას. ჩვენი დღევანდელი საუბარი მიმდინარეობდა იმ სულისკვეთებით, რომელიც დამახასიათებელი იყო ელცინისა და შევარდნაძის მოსკოვის შეხვედრისათვის. ახლა მთავარია შეწყდეს ცეცხლი, შეიქმნას მისი გარანტირებული განუახლებლობის მექანიზმი. ამის პარალელურად უნდა გადაწყდეს ტყვარჩელში, გაგრაში, სოხუმში ჰუმანური ხასიათის საკითხები, და ამავე დროს წინ უნდა წავწიოთ საქართველოსა და რუსეთს შორის დიდი ხელშეკრულების ყველა პუნქტის საბოლოო დამუშავების საქმე, რათა თვალსაჩინო მომავალში უზრუნველვყოთ კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთსა და ტერიტორიულად მთლიან საქართველოს შორის და, ამავე დროს, უზრუნველვყოთ ავტონომიის სტატუსი, აფხაზეთის უფლებები, მივაღწიოთ ურთიერთობის მოგვარებას ქართველებსა და ოსებს შორის და გადავწყვიტოთ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც საშუალებას მისცემს თავად საქართველოს იცხოვროს მშვიდობისა და სიმშვიდის პირობებში. ჩვენ დღეს კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ამ მიმართულებით.

— საქართველო დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, — აღნიშნა მინისტრმა. — სამწუხაროდ, სანამ ეს კონფლიქტებია, განსაკუთრებით აფხაზეთსა და ოსეთში, საქართველო ვერ ასრულებს იმ რეალურ როლს, რომელიც განეკუთვნება მას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ჩვენ კი გვინდა, რომ ამ საკითხების გარანტირებული გადაწყვეტისას იგი გადავიდეს თავისი ამ როლის რეალიზაციაზე. ეს გახლავთ პოლიტიკური, სტრატეგიული ინტერესები, რუსეთისა და საქართველოს პარტნიორობა. მე უკვე ალარაფერს ვამბობ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რომლებიც უნდა აღდგეს. ორი ხალხის სიმპათიები უდიდესია. საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად გადავწყვიტოთ ყველა პრობლემა აფხაზეთში, პრობლემები ქართველებსა და ოსებს შორის, კარი გავუღოთ სრულმასშტაბიან პარტნიორობას, მეგობრობასა და კავშირს.

ანდრია კოზირევი შეეხო გუდაუთაში მომავალ გამგზავრებას და თქვა, რომ აპირებს გუდაუთის დაჯგუფების ხელმძღვანელობასთან გამართოს ისეთივე გულახდილი საუბარი, როგორიც თბილისში ჰქონდა, „საქმიანი და კონკრეტულ საკითხებზე“.

— ჩვენ ხელს აღარ გვაძლევს ზოგადი ფორმულები, — ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ მინისტრმა, — აგრეთვე ცეცხლის შეწყვეტის ჩაშლა. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, რომ შეიქმნას კონტროლის მოქმედი მექანიზმი, [illegible] ზუსტად და მტკიცედ ვიმუშაოთ თბილისთანაც და აფხაზ ხელმძღვანელობასთანაც.

იმავე დღეს რუსეთის დელეგაცია გუდაუთაში გაფრინდა.

თბილისის აეროპორტში იგი გააცილეს ედუარდ შევარდნაძემ, პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ და რესპუბლიკის სხვა მაღალი თანამდებობის პირებმა.

სურათებზე: ვიზიტის დროს; რუსეთის დელეგაციის გაფართოებული საუბარი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან.

სერგო ედიშერაშვილისა და გივი კიკვაძის ფოტო (საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფოტოქრონიკა).

ნომერში

- კუპონი მთავრობის მხარდაჭერას მოითხოვს. 2
- ქედმაღლობისა და უმეცრების თავგასულობა. 3

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 ნოემბრის 1045 და 1993 წლის 29 მარტის 255 დადგენილებათა გაუქმების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 16 ნოემბერს 1045 დადგენილებით დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გამგეობის დროებითი დებულება, ხოლო 1993 წლის 29 მარტის 255 დადგენილებით ცვლილებები შეიტანა ზემოაღნიშნულ დებულებაში.

ეს დებულება ეხება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებას, მათი უფლებამოსილების შეწყვეტას, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობისა და საქმიანობის წესს.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტიდან, ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-5 პუნქტიდან, „მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, მინისტრთა კაბინეტის ზემოაღნიშნული დადგენილებები სცილდება მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციას.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. გაუქმდეს, როგორც კანონშეუსაბამო, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 16 ნოემბრის 1045 და 1993 წლის 29 მარტის 255 დადგენილებები.
2. სახელმწიფოს მეთაურმა არჩევნებამდე სამოქმედოდ დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების — რაიონის (ქალაქის) გამგეობის — დროებითი დებულება.
3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებისას ზუსტად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.
4. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

სახელმწიფო ქონების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების მიმართ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა ვენის 1983 წლის კონვენციას სახელმწიფო ქონების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების მიმართ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ.

აღნიშნულ კონვენციასთან შეერთების დოკუმენტები საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 8 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

აუდიტორული საქმიანობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 ივნისი.

საქართველოს ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტის

განცხადება

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტი, როგორც არაერთხელ განუცხადებია, გმობს პრესის წარმომადგენელთა მიმართ ტერორისა და ძალადობის ფაქტებს.

გუშინ მინისტრთა კაბინეტის შენობაში მომხდარი ფაქტი — გაზეთ „რეზონანსის“ წარმომადგენლის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება არა თუ არღვევს პრესის თავისუფლების კანონს, არამედ სცილდება ცივილიზებული ერის წარმომადგენლის ქცევის ელემენტარულ ნორმებს.

კომიტეტი მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო მსგავს ფაქტებს. დროა, საქართველოში დამყარდეს ისეთი ატმოსფერო, სადაც თავისუფალი პრესის წარმომადგენლებს მიეცემათ ნორმალური პროფესიული მოღვაწეობის საშუალება, რის გარეშეც ლაპარაკი დემოკრატიაზე ამაოა.

თბილისი, 9 ივნისი, 1993.

საუბარი ევროთათბირის მისიის წევრებთან

9 ივნისს საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა მიიღო ევროთათბირის მისიის წევრები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან და სწავლობენ ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას.

მისიის წევრებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საქართველოში და, კერძოდ, ცხინვალის ზონასა და აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ, ამასთან სპიკერის მოადგილეს გაუზიარეს თავისი შთაბეჭდილებები.

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

ნაბიჯი გაჯანსაღების გზაზე

9 ივნისს გამართულ პარლამენტის სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის არჩევნების დებულების პროექტზე, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით წარმოადგინა პარლამენტარმა დავით მელიქიშვილმა. პროექტის განხილვას პარლამენტარებმა, პრაქტიკულად, მთელი დღე მოანდომეს. საქმიანი და პრინციპული კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ ეს პროექტი მომავალ სხდომაზე დააყენონ კენჭისყრელად.

სხდომაზე წაიკითხეს ასოციაცია „თავისუფალი პრესის“, საქართველოს ვიცე-პრემიერის ავთანდილ მარგიანის აპარატის განცხადებები, რომლებიც შეეხებოდა გახმაურებულ ინციდენტს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით. პარლამენტარები გაეცნენ აგრეთვე რუსეთში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ვალერიან ადვაძის განცხადებას, რომელშიც ელჩმა ნათელი მოჰფინა გავრცელებულ ხმებს, თითქოს მას მხარი დაეჭიროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლისათვის.

პარლამენტარებმა მიიღეს დადგენილება სახელმწიფო ქონების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების მიმართ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მან მოკლე ინფორმაცია გააკეთა თბილისში სამუშაო ვიზიტად ჩამოსულ რუსეთის ფედერაციის დელეგაციასთან შეხვედრებისა და მოლაპარაკების შესახებ. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ ეს შეხვედრები პრაქტიკულად იმ დიალოგის გაგრძელებაა, რომელიც მოსკოვში დაიწყო 14 მაისს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ მზად არიან აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისათვის. სინანული გამოითქვა იმის გამო, რომ ეს შეთანხმება დაირღვა, რაც ორივე მხარემ დაუშვებლად მიიჩნია. ითქვა, რომ გაეროს მეთვალყურეთა ჩამოსვლამდე, ორივე მხარემ უნდა შეიმუშაოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულების კონტროლის მექანიზმი. როგორი ხასიათის იქნება ეს მექანიზმი, დაზუსტდება სოხუმსა და გუდაუთაში დელეგაციის შეხვედრების შემდეგ. შევთანხმდით, რომ უახლოეს დღეებში დამთავრდება მუშაობა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების პაკეტზე. როგორც აღინიშნა, ცეცხლის შეწყვეტის უზრუნველყოფა უდავოდ ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ხელშეკრულებათა ხელმოწერას და, პირიქით, ამ ხელშეკრულებათა ხელმოწერა დამატებითი სტიმული იქნება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის, ამიერკავკასიისა და საერთოდ კავკასიაში მშვიდობის დამყარებისათვის.

როცა ჰუმანური დახმარების გაწევის საკითხს შეეხო, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ მიღებულია ასეთი გადაწყვეტილება: ჰუმანური დახმარება გაეწევა ტყვარჩელს, სოხუმსა და გაგრის რეგიონს. ამასთან, მიღწეულია შეთანხმება, რომ ამისათვის გამოიყენებენ საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტს და გამოყოფენ სათანადო ერთობლივ გამცილებლებს.

მიმაჩნია, თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რომ პრინციპულად ეს შეხვედრები საჭირო და ფრიად სასარგებლო იყო. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების გზაზე.

სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტარებს გაუზიარა თავისი დამოკიდებულება ჟურნალისტთა ერთი ჯგუფის მიერ გაკეთებული განცხადებისადმი. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს ფაქტი უსათუოდ უნდა გამოიძიონ და დაადგინონ ჭეშმარიტება.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა კუპონების შემოღებასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებზე, უპასუხა პარლამენტართა კითხვებს.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

კუპონი დღეს და ხვალ

გაიმართა სახელმწიფოს მეთაურთან არსებული საგანგებო ეკონომიკური საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და ვიცე-პრემიერები ზურაბ კერვალიშვილი და რომან გოცირიძე. სხდომაზე იმსჯელეს რესპუბლიკაში ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად კუპონის შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სხდომის მონაწილეებმა განიხილეს აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის მიერ მომზადებული დოკუმენტების პაკეტი.

აღინიშნა, რომ საფუძვლიანად უნდა გაანალიზდეს ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად კუპონის გამოცხადების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ის, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ არსებითი ხასიათის ცვლილებას მოსახლეობისათვის, რა პრობლემებს შეუქმნის იგი ქართულ ბიზნესს, რა გავლენას მოახდენს ბაზარზე.

რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წინადადებით გადაწყდა, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტმა დიდი სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებთან, ბიზნესმენებთან, მეცნიერებთან, რაიონების გამგებლებთან ერთად საფუძვლიანად განიხილონ აღნიშნული ღონისძიების შედეგები. კუპონთან დაკავშირებული ეს გადაწყვეტილება განხილულ უნდა იქნეს ეკონომიკური რეფორმის საბოლოო მიზნებთან, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემებთან, რესპუბლიკის ეკონომიკის მდგომარეობასა და პერსპექტივებთან მჭიდრო კავშირში. სხდომაზე მიიჩნიეს, რომ მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილება იქნება სწორი და მართებული.

მიზეზ-მიზეზ ჩაის კრეფა გვიანდება

ზუგდიდის რაიონის ეკონომიკის ძირითადი წყარო მეჩაიეობაა. ბუნებრივია, რომ ამ კულტურის მოვლა-პატრონობაზე დიდად არის დამოკიდებული მისი ეკონომიკური მდგომარეობა. დასამალი არ არის, რომ წელს სხვადასხვა მიზეზების გამო არ ჩატარებულა აგროტექნიკური სამუშაოები.

ჩაის კრეფის სეზონი უკვე დაიწყო, მაგრამ ბევრგან ჩაის პლანტაციებში სასუქი არ არის შეტანილი. უფრო მეტიც, ბევრი პლანტაცია გაუსხლავი და დაუბარავია, რამაც ერთგვარად ვეგეტაციის პროცესი შეაფერხა. საბოლოოდ ამან ჩაის ფოთლის კრეფის გვიან დაწყება გამოიწვია: პროგნოზით წლეულს (რაიონში უნდა დამზადდეს 40 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული. 8 ივნისისათვის რაიონში მხოლოდ 120 ტონა მოკრიფეს, სამწუხარო ფაქტია, რომ რაიონის ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობას ჩაის კრეფა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ. მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი მაინც საწვავ-საცხებ მასალების უქონლობაა. ამასთან, ჩაის მკრეფავების შრომის ანაზღაურების საკითხი გადასაწყვეტია. წინააღმდეგ შემთხვევაში ზუგდიდის რაიონში 40 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი ვერ დამზადდება და ამით კიდევ უფრო გაუარესდება მისი ეკონომიკა.

ოდია კუხილავა.

მადლობის მეტი რა გვეთქმის!

„საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელი ნომერი გამოდის ბატონ ვალერი დათუაშვილის ფონდის სპონსორობით.

პრობლემა

კუპონი მთავრობის მხარდაჭერას მოითხოვს

მიმოქცევაში მყოფი ფულის სიმტკიცე და კურსი ქვეყნის ეკონომიკის მაჯისცემის მაჩვენებელია. რესპუბლიკაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო კუპონის მიმოქცევა, რამაც მეტად დაძაბული სოციალური ვითარება შექმნა. დრო არ ითმენს, საჭიროა პირველ რიგში ის სტრატეგიული ხასიათის შეცდომები გავასწოროთ, რომლებიც დაშვებულია ეკონომიკური რეფორმის ღონისძიებათა განხორციელებისას და რომელთა შედეგებს ახლა ვიმკით. რა შეცდომებთან გვაქვს საქმე?

საქართველოში საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბება რეფორმის ძირითად მიზნად იქნა დასახული, მაშინ, როდესაც იგი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და საზოგადოების ყველა ფენის არსებობისათვის საჭირო სოციალური და ეკონომიკური პირობების შექმნის მიღწევის საშუალება უნდა გამხდარიყო. ამან გამოიწვია ის, რომ სოციალური მიზანი მივიწყებას მიეცა და ყველაფერი საბაზრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას შეეწირა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამ უკანასკნელის ფორმირება მიდის წარმატებით.

რესპუბლიკამ დროშასავით აიტაცა და ეკონომიკური რეფორმის სტრატეგიულ შენაძენად ჩათვალა სოციალური დარვინიზმი, რამაც ჩვენში ჯუნგლის კანონების გაბატონება გამოიწვია. ის, შენიღბული ფორმით, საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ადრეც სასურველი იდეოლოგია იყო, მაგრამ წარსულში სხვა დაპირისპირებული ძალების მოქმედებით მას მაინცდამაინც გასაქანი არ გააჩნდა. თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, ეს იდეოლოგია ერს სრულ დეგრადაციამდე მიიყვანს.

მატერიალური წარმოების სფეროში ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრების ბატონობის პირობებში ხელისუფლებამ, განსაკუთრებით კი მისმა აღმასრულებელმა ორგანოებმა, წარმოების მართვისგან საერთოდ გაითავისუფლეს თავი. მთავრობამ, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარიჟრაჟზე, როცა ყველაფერი „სოციალისტური" ბორკილებად იქნა მიჩნეული, ხელი დაიბანა ყოველგვარი ეკონომიკური მართვისაგან და იგი „გადააკისრა" ჯერ არარსებულ საბაზრო ინფრასტრუქტურას. უპატრონოდ და უმართავად დარჩენილი წარმოება კი მთლიანად მოიშალა და მაფიოზური კლანების სათარეშო არენად გადაიქცა. ამჟამად წარმოების საშუალებები რეალურად არც სახელმწიფო საკუთრებაა და არც კერძო. მათ ყოველგვარი კონტროლის გარეშე იყენებს საზოგადოების წევრების გარკვეული ნაწილი, რომელსაც არც ცენტრალიზებულად მართვადი მეურნეობა აძლევს ხელს და არც ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული პოზიციები ფსევდობიზნესმა დაიკავა.

გაუაზრებლად, პოპულისტური ლოზუნგების საფუძველზე დაიწყო უსერიოზულესი ეკონომიკური რეფორმის პროცესი. დოლარის [illegible] ათვისებული მონეტარული სისტემის (არც ერთ ქვეყანას არც ლიბერალური და არც მონეტარული მიმართულების ყოვლისმომცველი პოზიციიდან არ გამოუყენებია ეკონომიკის აღორძინებისათვის) ბაზაზე აგებული ყბადაღებული „შოკური თერაპიის" გატარების წყურვილმა ეკონომიკური აზროვნება ახლებურად ჟღერადი მონეტარული დოგმების მარწუხებში მოაქცია.

ფასების ლიბერალიზაცია ეკონომიკური რეფორმის ამოსავალ წერტილად იქნა მიჩნეული. შედეგად მივიღეთ მხოლოდ საზოგადოებრივი „შოკი", ყოველგვარი „თერაპიის" გარეშე. საკუთრების მრავალფეროვნება და მათი თანასწორუფლებიანობა ისევ პოპულიზმისა და ცალკეულ ლიდერთა დეკლარაციული განცხადებების მსხვერპლად გადაიქცა. კონკურენციის საფუძველზე ფორმირებადი ფასების ნაცვლად რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა მონოპოლიური ფასები. მოთხოვნა-მიწოდების გაუწონასწორებლობის პირობებში ასეთი მოვლენა სრულებით კანონზომიერია და ამის გათვალისწინება დიდ ბრძენკაცობას, ალბათ არ მოითხოვდა. ფასების აშვება ასე თუ ისე, გამართლებული იქნებოდა, სახელმწიფოს წინასწარ რომ დაეგროვებინა ბაზრის გასაჯერებელი საქონლის თუნდაც რამდენიმე თვის მარაგი. ამის გასწორება უკვე დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს ერთადერთი შანსია მდგომარეობის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად.

სამწუხარო და მეტად საწყენია, ის ფაქტი, რომ პარლამენტის ტრიბუნიდან, ტელევიზორის ეკრანიდან, თუ გაზეთების ფურცლებიდან ეკონომიკაზე სხვა-ბასი უმეტესწილად პოპულისტურ დიდაქტიკას არ სცილდება, ამასთან საკვირველია, ნუთუ ყველა „შესანიშნავად" ერკვევა ისეთ ურთულეს ეკონომიკურ ურთიერთობაში, როგორიც ფულად-საკრედიტო ურთიერთობაა?

ამას წინათ, „საქართველოს რესპუბლიკაში", პარლამენტის ერთ-ერთი ფრაქციის ლიდერი წერდა, რომ ეკონომიკის კუთხით ქვეყნის კრიზისული ვითარებიდან გამოყვანისათვის ფრაქცია უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებასა და კონკურენციას, საკუთრების ფორმების მრავალსახეობასა და თანასწორუფლებიანობას, სრულყოფილი საგადასახადო სისტემის ამოქმედებას, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებას, საბანკო სისტემის სრულყოფის საფუძველზე მოსახლეობის შრომისა და სოციალური კეთილდღეობის გარანტიების უზრუნველსაყოფად საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

დიდ ორიგინალობას ამ „კონცეფციას" ვერ დავწამებთ, მაგრამ ეს ხომ ისევ ზოგადი მსჯელობაა და სხვა არაფერი. ასეთი სურვილები და „პროგრამები" ჩვენს რესპუბლიკას დღეს ჭარბად აქვს, მაგრამ, საუბედუროდ, კონკრეტული მოქმედების გეგმა და ასეთი გეგმის განხორციელების მექანიზმი ჯერ არც ერთ პარტიას, საპარლამენტო ფრაქციას და თვით აღმასრულებელ ორგანოებს არ გააჩნიათ.

ქართული კუპონის შემოღებაც პრაქტიკულად მოუმზადებლად მოხდა. მართალია, ეს ღონისძიება იძულებითი იყო, მაგრამ უკვე გასული წლის ნოემბერში ხომ ვიცოდით ასეთი ნაბიჯის გადადგმის გარდაუვალობა? ნოემბრიდან აპრილამდე კი საკმაო დრო იყო, რომ კუპონების შემოღება ეკონომიკურად და, რაც მთავარია, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულად მომზადებულიყო. პრაქტიკულად კი რესპუბლიკაში არავითარი ორგანიზაციული ხასიათის მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩატარებულა. კუპონების შემოღება არც შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განმტკიცებულა.

ფულის რეფორმის გაუაზრებელმა და მოუმზადებელმა გატარებამ გამოიწვია ის, რომ მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, რომელიც ისედაც მათხოვრის შემოსავლის დონეზეა დაწესებული, კუპონების შემოღებიდან დღემდე მანეთთან შედარებით ორ-სამჯერ და მეტად შემცირდა. ამას ოვაციებითა და ტაშის გრიალით საზოგადოება ვერ შეხვდება.

ეკონომიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად, ჩვენი აზრით, აუცილებელია გატარდეს ღონისძიებათა შემდეგი კომპლექსი:

1. ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, ომის მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსათვის დაუშვებელი ფუფუნებაა. სანამ წარმოების საშუალებათა უდიდესი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად ითვლება, **საჭიროა სახელმწიფომ მართოს იქ შექმნილი პროდუქციის მოძრაობაც, რომელიც სახელმწიფო სავაჭრო ქსელში უნდა გაიყიდოს** თუნდაც თავისუფალ ფასებში, მაგრამ მხოლოდ კუპონებზე და უმკაცრესი სახელმწიფო კონტროლით (თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ დღევანდელმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ რაიმე კონტროლის დაწესება შეძლოს). შემოსული ამონაგები მთლიანად უნდა შევიდეს ბანკის სალაროებში. ამით დაჩქარდება კუპონების ტრიალი და შენელდება მისი ინფლაციის პროცესი.

2. უნდა აღდგეს საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა. ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია, რომ საწარმოებმა სახელმწიფო სავაჭრო ქსელს პრაქტიკულად შეუწყვიტეს საქონლის მიწოდება იმ საბაბით, რომ სახელმწიფო სავაჭრო ქსელი მწარმოებლისაგან საქონელს ნაღდ ანგარიშზე არ იღებს, ხოლო საწარმოები ნედლეულსა და მასალებს მხოლოდ ნაღდი ფულით ყიდულობენ. ეს მტკნარი სიცრუეა. რესპუბლიკისათვის პრიორიტეტული პროდუქციის (ჩაის, ღვინის, თამბაქოს და სხვ.) საწარმოებელი ნედლეული ძირითადად ისევ სახელმწიფო ფორმირებების მონოპოლიაა და მათი შეძენა უნაღდო ანგარიშსწორებით უნდა მოხდეს.

3. კერძო სექტორს, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციული ზომებით ვერ აიძულებ ივაჭროს კუპონებით, მათზე მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით შეიძლება ზემოქმედება. ნუთუ არ შეიძლება მანეთით ნავაჭრი ამონაგები დაიბეგროს უფრო მაღალი განაკვეთით, ხოლო კუპონებით ნავაჭრზე შეღავათიანი განაკვეთები დაწესდეს. ამავე დროს, გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ კუპონებით.

4. უნდა დაწესდეს უმკაცრესი კონტროლი სახელმწიფო სახსრებით შემოტანილი პროდუქციის, მათ შორის ნავთობპროდუქტების რეალიზაციაზე. იგი მთლიანად უნდა გაიყიდოს კუპონებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული [illegible]ართი სადგურების მეშვეობით და არ ჩავარდეს ხელში მაფიოზურ ჯგუფებს. ამასთან გაიყიდოს თავისუფალ ფასებში, მაგრამ ამონაგები მთლიანად უნდა შევიდეს ბანკის სალაროებში. გაზის ღირებულებას ხომ მოსახლეობა კუპონებით ანაზღაურებს? მაშინ ბენზინის ღირებულება რატომ არ შეიძლება კუპონებით გადავიხადოთ?

5. ფულის კურსის განმტკიცების მთავარი ფაქტორი მაინც ეკონომიკის აღმავლობაში უნდა ვეძებოთ. ადრეც დაგვიწერია და ახლაც გვინდა გავიმეოროთ, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს გადამჭრელი ზომები კონკურენტუნარიანი და უკვე კარგად ჩამოყალიბებული ბაზრის მქონე პროდუქციის წარმოების გაძლიერების მიმართულებით. რესპუბლიკას გააჩნია ელმავლების, შავი და ფერადი ლითონის, ელექტროტექნიკური საქონლის, ჩარხების, ფეროშენადნობის, დარიშხანის, ბარიტის, დიატომიტის, სასუქების, ჩაის, ღვინის, კონიაკის და ბევრი სხვა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო საწარმოო სიმძლავრეები. საჭიროა სწორედ ამ წარმოებებზე გამახვილდეს მთელი ყურადღება, მობილიზაცია გაუკეთდეს მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებს და ამოქმედდეს ეს პოტენციალი. ჩვენ თუ იმას დავუწყებთ ლოდინს, როდის მოხდება ამ საწარმოთა პრივატიზება და ახალი მეპატრონეები აიყვანენ რესპუბლიკის ეკონომიკას, ძალიან დიდხანს მოგვიწევს დაცდა.

ნურც იმის დიდი იმედი გვექნება, რომ საქართველოს სწრაფად მოაწყდება უცხოური კაპიტალი. ჯერ ერთი, ის რომ შემოვიდეს, საქართველოში უნდა შეიქმნას შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ისეთ არასტაბილურ პირობებში, როგორიც ჩვენ გვაქვს, ვერავინ გაბედავს აქ კაპიტალის დაბანდებას და, ეს კაპიტალი კიდევაც რომ შემოვიდეს, უკუგებას რესპუბლიკა ერთბაშად ვერ იგრძნობს, მის ამოქმედებას წლები დასჭირდება. დრო კი არ ითმენს.

6. კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია მანეთების აკრძალვის თაობაზე გაშლილი პროპაგანდა. ამ პროპაგანდამ გამოიწვია კუპონების კურსის სწრაფი დაცემა და მანეთის კურსის ამაღლება. ეს კურსი დღეს უკვე შეადგენს 1:3. ხვალ ეს თანაფარდობა კიდევ უარესი იქნება. საჭიროა კიდევ 1-2 თვე და კუპონის კურსი მანეთთან გახდება სულ ცოტა 1:10, მაგრამ მანეთის ამოღება, თუ იგი ფაქტიური კონფისკაციის გზით განხორციელდა, მის კურსს გააასკეცებს. რეალურად კი მას ბრუნვიდან მაინც ვერ ამოვიღებთ. იგი, ისევე როგორც დოლარი ან მარკა, დარჩება ბრუნვაში და ასეთი ამკრძალავი ზომებით მხოლოდ შავ ბაზარს გავაძლიერებთ, ხოლო მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას კიდევ უფრო გავაუარესებთ. ისეთ რამეს ნუ დავიქადნებთ, რისი გაკეთებაც რეალურად არ შეგვიძლია.

7. ბოლოს, რამდენადაც ბანალურად არ უნდა მოგვეჩვენოს, უნდა გავიმეოროთ ის ჭეშმარიტება, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებები პრივატიზაციის სწრაფად წარმართვის, არსებული მატერიალური ფასეულობების სრული ინვენტარიზაციის, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საყოველთაო დანერგვისა და გაძლიერების მიმართულებით.

თუ ეს ყველაფერი დროულად განხორციელდა, კუპონებს შეიძლება დროებით მაინც ეშველოს ცოტა. მათი საბოლოო ხსნა შეუძლებელია. ახლა მთავარია თავიდან ავიცილოთ არა კუპონების გაუფასურების პროცესი (ამას მამაზეციერიც ვერ შეძლებს), არამედ ამ პროცესის შედეგად მოსახლეობის საარსებო პირობების მკვეთრი გაუარესება და ამით გამოწვეული შესაძლო სოციალური აფეთქება.

გვინდა ჩვენ ეს, თუ არ გვინდა, კუპონების ემისია, ხელფასებისა და დანაზოგების ინდექსაცია უნდა მიმდინარეობდეს კუპონების გაუფასურების პარალელურად. სხვანაირად გარდაუვალი იქნება: 1) კრიმინოგენური სიტუაციის გაუგონარი გამწვავება; 2) მოსახლეობის ძირითადი მასის უპრეცედენტო გაღატაკება; 3) ახალი გადატრიალებები, რომლებიც კიდევ უფრო უკან დასწევს ჩვენს ისედაც გაჩანაგებულ, გაღატაკებულ, გაძარცვულ და განადგურებულ ეკონომიკას.

როგორც აღვნიშნეთ, მიმოქცევაში მყოფი ფულის სიმტკიცე და კურსი ქვეყნის ეკონომიკის მაჯისცემის მაჩვენებელია. ცდებიან ყველა ისინი, ვინც ფულის სიმტკიცის გარანტიას მხოლოდ ეროვნულ ბანკს ან კიდევ მთავრობას აკისრებენ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ფულის კურსის სიმტკიცე და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება სახელმწიფოს ყველა სტრუქტურის შეთანხმებულ მოქმედებაზეა დამყარებული. ერთი სიტყვით, მთავრობა ერთიანად შედუღაბებულ კომპეტენტურ პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული გუნდი უნდა იყოს.

დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ეროვნული ბანკისა და მინისტრთა კაბინეტის მესვეურთა კინკლაობა, ეს საქმეს არ რგებს, ყველას უნდა ამოძრავებდეს ერთი მიზანი, რაც შეიძლება ხელი შეუწყონ ეკონომიკის სტაბილიზაციას, ინფლაციის ტემპების შენელებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემის შეჩერებას.

ქართული ფულის შემოღების საკითხი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ფართო მსჯელობის საგანია. ასეც უნდა იყოს — ფულის რეფორმა ხომ მეტნაკლებად ყველას შეეხება.

ახლა ბევრი მოითხოვს ქართული ფულის — ლარის შემოღების დაჩქარებას. დაბეჯითებით უნდა განვაცხადოთ: ამ საქმეში აჩქარება რესპუბლიკის ხელისუფლების მორიგი და ძნელად გამოსასწორებელი შეცდომა იქნება. იგი მხოლოდ ზიანს მოუტანს როგორც სახელმწიფოს, ისე განსაკუთრებით მოსახლეობას.

ქართული ფულის შემოღებისათვის საქართველოს ეკონომიკა დღეს მზად არ არის. მატერიალური წარმოების დაცემა გრძელდება, სახელმწიფოს ძვირფასი ლითონების და კონვერტირებადი ვალუტის რეზერვები არ გააჩნია, ამასთან კუპონებს ბოლომდე არ შეუსრულებია თავისი მთავარი ფუნქცია — მიიღოს ინფლაციის გამანადგურებელი დარტყმების სიმძიმე და ამით საშუალება მისცეს ხელისუფლებას გაატაროს ღონისძიებათა ის კომპლექსი, რაც საჭირო წინაპირობა იქნება ეროვნული ფულის შემოღებისათვის.

ჩვენი აზრით, ქართული ფულის განმტკიცებისათვის რესპუბლიკას სარჩევი ვარიანტები არ გააჩნია, ჯერჯერობით ერთადერთ რეალურ საშუალებად მიგვაჩნია გარკვეული რაოდენობის კონვერტირებადი ვალუტის სესხად აღება, რომელიც შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მეთაურის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტის წყალობით, სხვა ანდამატი უცხოური სესხების მიღებისათვის საქართველოს, სამწუხაროდ, არ გააჩნია.

რევაზ კაკულია,
ლეო ხაბურზანია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები.

როგორი შევსება სჭირდება ტექნიკურ უნივერსიტეტს

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1993 წელს შემსვლელთათვის მისაღები გამოცდების ნუსხა ჯერ კიდევ გასული წლის 7 და 20 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", მაგრამ ვითვალისწინებთ რა ჩვენი ახალგაზრდობის ინტერესს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისადმი, ვაქვეყნებთ რექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გოჩა ჩოგოვაძის წერილს.

ახალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობას სჭირდება მაღალი კვალიფიკაციის, თანამედროვე ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისი ინჟინრების მომზადება, რომ არსებულ ტექნიკას გაუწიოს ექსპლუატაცია, დააპროექტოს და შექმნას ახალი ტექნიკური საშუალებები, აამოქმედოს ახალი ტექნოლოგიური პროცესები და, ბოლოს, — დაეუფლოს იმ მეცნიერულ საფუძვლებს, რომლებზეც არის დამყარებული ტექნიკის განვითარება, რათა ქართულმა ტექნიკურმა მეცნიერებამ ღირსეული წვლილი შეიტანოს მსოფლიო მიღწევებში.

ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების წარმატებით შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ახალ შევსებას. როგორი უნდა იყოს ეს შევსება? რა საწყისი ცოდნა, რა მიდრეკილებები უნდა ჰქონდეთ? ამ კითხვებს უნდა გასცენ პასუხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემსვლელებმა, ოღონდ, — ჩვენი ხელშეწყობით. ამაში მათ დაეხმარებათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მრავალწლიანი გამოცდილება. ჩვენ ვიცით, ათეული წლების განმავლობაში რა დონის ახალგაზრდობა შემოდიოდა ჩვენთან და, შესაბამისად, რა წარმატებები ჰქონდათ სასწავლო პროცესში, პრაქტიკულ მოღვაწეობასა. თუ მეცნიერულ კვლევაში. აქ ჩვენ იმასაც ვითვალისწინებთ, რომ ცალკეულ შემთხვევაში სტუდენტები, რომლებსაც სწავლის დროს განსაკუთრებით თავი არ გამოუჩენიათ, შემდგომ წარმატებით ეწეოდნენ პრაქტიკულ საინჟინრო საქმიანობას, ვინაიდან, საბაზისო ცოდნის გარდა, თანდაყოლილი მიდრეკილებაც ჰქონდათ ტექნიკისადმი. ამასთან, ვიცით, საპირისპირო მაგალითებიც: სწავლაში წარჩინებული სტუდენტი, შემდგომ მაღალი კლასის პროფესიონალი ან ნამდვილი მეცნიერ-მკვლევარი ვერ გამხდარა. ამიტომ, ახალგაზრდის მიდრეკილების გარკვევა კონკრეტული დარგის არჩევისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია.

არსებობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორებიც. დავიწყოთ იმით, რაც თითქოს ტექნიკურ დარგთან უშუალო კავშირში არ არის — ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნით.

განათლებული ადამიანი, რა სპეციალობისაც უნდა იყოს ის, მაღალი დონის პროფესიონალი ვერ გახდება, თუ საფუძვლიანად არ იცის მშობლიური ენა და ლიტერატურა, არა აქვს მეტყველების კულტურა. არ შეუძლია აზრის მკაფიოდ და ლოგიკურად ჩამოყალიბება. ჩვენ ვცდილობთ, ტექნიკურ დარგებში და მეცნიერებაში რეალურად დავამკვიდროთ ქართული ენა სახელმწიფოებრივ ენად. მისი საფუძვლიანი ცოდნა ჩვენი არაქართულენოვანი სექტორების კურსდამთავრებულებსაც მოეთხოვებათ. მათ, ჩვენთან, ქართული ენის ათვისებისათვის შექმნილი აქვთ სათანადო პირობები. კურსდამთავრებულები სახელმწიფო გამოცდას ჩააბარებენ ქართულ ენაში. ცხადია, ამით ჩვენ დაბრკოლებებს კი არ ვუქმნით არაქართულენოვან სექტორებზე მოსწავლე ახალგაზრდობას, არამედ, პირიქით, ვეხმარებით, რომ შემდგომ ენობრივმა ბარიერმა ხელი არ შეუშალოს მათ ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობისას. ამიტომაა, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩვენთან მისაღებ გამოცდას აბარებს ყველა სპეციალობაზე შემსვლელი აბიტურიენტი. გამოცდები, ტრადიციულად, ინდივიდუალური ბილეთების გამოყენებით მოეწყობა.

მეორე გადამწყვეტი ფაქტორია მათემატიკის ცოდნის დონე. ნებისმიერი ტექნიკური დარგის დისციპლინა მოითხოვს ანალიზურ აზროვნებას. ამ სპეციალობათა შესწავლა მათემატიკის ცოდნის გამოყენებას ეფუძნება. ამიტომ მათემატიკის ცოდნა აუცილებელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოსახვედრად. მისაღები გამოცდა მათემატიკაში წელს ჩვენთან სამი ფორმით მოეწყობა: **წერითი** (სამშენებლო, ენერგეტიკის, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, ფუნდამენტურ მეცნიერებათა ინსტიტუტებში შემსვლელებისათვის), **ზეპირი** (სამთო-გეოლოგიურ, საავიაციო, მეტალურგიულ, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების ინსტიტუტებში და გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობაზე) და **გასაუბრების ფორმით** (არქიტექტურის ინსტიტუტში და ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის ზოგიერთ სპეციალობაზე).

მისაღები გამოცდების მესამე საგანი წელს, ჩვენი გადაწყვეტილებით, არჩევითია (სამშენებლო, ენერგეტიკის, სამთო-გეოლოგიური, მეტალურგიული, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების, კავშირგაბმულობის, საავიაციო ინსტიტუტებში შემსვლელთათვის). ეს იმიტომ, გაკეთდა, რომ პროფესიული ორიენტაციის თვალსაზრისით, გარკვეული პასუხისმგებლობა იკისროს თვით აბიტურიენტმა, რომელიც შეარჩევს მისთვის სასურველ მესამე საგამოცდო საგანს შემდეგი ხუთი საგნიდან: ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), ინფორმატიკა (წერა), ხაზვა, უცხო ენა (ზეპირი). აბიტურიენტი უპირატესობას, ცხადია, იმ საგანს მიანიჭებს, რომელიც უკეთესად იცის და თვლის, რომ ეს საგანი „მისია". ახალგაზრდა, რომელიც ინჟინრობას ესწრაფვის, აუცილებლად აირჩევს ისეთ საგანს, რომელიც მისთვის სასურველ მომავალ სპეციალობასთან უფრო მეტად იქნება მისადაგებული. მაგალითად, ხაზვას აირჩევს ის, ვისაც საკონსტრუქტორო სპეციალობა იტაცებს, ხოლო ინფორმატიკას — ინფორმატიკისა და მართვის სისტემებისა და კავშირგაბმულობის სპეციალობებზე შემსვლელი და ა. შ.

ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რატომ არის შესარჩევ საგანთა ჩამონათვალში, ტექნიკურ სპეციალობებზე შემსვლელთათვის, ტოლფასად შეტანილი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული). ესეც ჩვენმა გამოცდილებამ გვიკარნახა. ბოლო წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მიღებას აწარმოებს არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ ინგლისურ და ფრანგულ სექტორებზეც. ჯერჯერობით ფრანგული სექტორების ჯგუფები ჩვენთან სრულად არ კომპლექტდება, ხოლო ინგლისური სექტორის ჯგუფებში ყოველთვის უმნიშვნელო კონკურსია. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ საქართველოში უცხო ენების სწავლების საკითხი „კოლონიური ქვეყნის" სინდრომს ატარებდა. მოსახლეობა ძირითადად მეტროპოლიის ენის შესწავლას ეტანებოდა. დღევანდელი სტუდენტი კი ისეთი ქვეყნის სპეციალისტი იქნება, რომელიც არასოდეს მოიხსენიება „იმპერიის პერიფერიად". საქართველოს რესპუბლიკას ექნება მჭიდრო კულტურული და მეცნიერული კავშირები დასავლეთთან და, ცხადია, ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან. ამიტომ, ეთმობა ეგზომ დიდი ყურადღება ჩვენთან უცხო ენების შესწავლას. ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს აუცილებლად მოახდენს გარკვეულ ზეგავლენას საშუალო განათლების სისტემაზეც.

მაგრამ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არის სპეციალობები, რომლებზეც ჩასაბარებელი საგნების არჩევა არ მოხდება: — ფუნდამენტურ მეცნიერებათა ინსტიტუტში: ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (წერა), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების ინსტიტუტში: ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); ინგლისურ და ფრანგულ სექტორებზე შემსვლელთათვის, მათემატიკა (წერა), უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა); არქიტექტურის ინსტიტუტში შემსვლელები, რომლებიც გაივლიან გასაუბრებას მათემატიკაში, ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ფერწერა, ხაზვა, ხატვა, მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი მიღებას აცხადებს ოთხ ახალ სპეციალობაზე, სადაც მისაღები გამოცდები წინასწარაა დადგენილი: 1. ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკა (ქართული ენა და ლიტერატურა — ზეპირი და წერა, უცხო ენა — ზეპირი); 2. სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზა (საქართველოს ისტორია — ზეპირი, ქიმია — ზეპირი, ქართული ენა და ლიტერატურა — წერა); 3. მთარგმნელ-რეფერენტი (უცხო ენა — ზეპირი, საქართველოს ისტორია — ზეპირი, ქართული ენა და ლიტერატურა — წერა). ამ სპეციალობებზე შემსვლელები მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით გაივლიან გასაუბრებას მათემატიკაში, 4. ხელოვნების ტექნიკური საშუალებანი და ტექნიკური რეჟისურა (ქართული ენა და ლიტერატურა — წერა, საქართველოს ისტორია — ზეპირი, მათემატიკა — ზეპირი). ამ სპეციალობაზე შემსვლელები მისაღებ გამოცდებამდე გაივლიან გასაუბრება-შემოქმედებით ტურს, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს აბიტურიენტის შემოქმედებითი ნიჭი, ფანტაზიის უნარი, ნაკითხობა, მხედველობითი მეხსიერება. აბიტურიენტი უნდა იცნობდეს კულტურისა და ხელოვნების დარგებს, კერძოდ, ლიტერატურას, კინოს, თეატრალურ, სამუსიკო და ფერწერულ ხელოვნებას. შემსვლელს უნდა შეეძლოს ხელოვნების დარგების მხატვრულ მთლიანობაში აღქმა, რადგან კურსდამთავრებული რთული, კოლექტიური შემოქმედების სრულუფლებიანი წევრი ხდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამუშაო, ტექნიკური მხარე. ეს სრულიადაც არ გულისხმობს, რომ ჩვენ ახალგაზრდას მოვთხოვთ პროფესიულ მომზადებას, მაგრამ ხელოვნების მოყვარული და ამ სამყაროში გათვითცნობიერებული უთუოდ უნდა იყოს. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტში, გარდა, აღნიშნული სპეციალობებისა, წელს მიღება განხორციელდება შემდეგ სპეციალობებზე: საერთაშორისო სამართალი; ტექნიკური ექსპერტიზა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ამ სპეციალობებზე შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები მოეწყობა შემდეგ საგნებში: მათემატიკა (წერა), უცხო ენა (ზეპირი) და ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

გოჩა ჩოგოვაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

მეცნიერება — ცხოვრებას

წყალმცენარე სპირულინა, მისი კულტივირების მნიშვნელობა და პერსპექტივები

როგორც ცნობილია, ამჟამად მთელ მსოფლიოში მდგომ უმთავრეს პრობლემათა შორის ყველაზე მთავარია, საკვებისა და ენერგიის ნაკლებობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო სამსახურების ცნობით, დედამიწის თითქმის ყველა კუთხის დიდი ნაწილი მეტნაკლებად შიმშილობს. განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად უკანასკნელ წლებში დიდი წარმატებით გამოიყენება მეცნიერების, განსაკუთრებით ბიოტექნოლოგიისა და გენეტიკური ინჟინერიის მიღწევები. შექმნილია მრავალი სპეციალური, შესაფერისი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებანი, რომლებშიც საქმიანობენ მაღალკვალიფიციური კადრები, უხვია ფინანსირება და შედეგებიც უაღრესად თვალსაჩინო და შთამბეჭდავია. საამისო ცნობები მრავლად ქვეყნდება სპეციალურ თუ პოპულარულ ლიტერატურაში.

კვების პროდუქტებისა და ენერგიის წყაროების წარმოებაში ცხოველებსა და მცენარეებთან ერთად, სადღეისოდ განსაკუთრებულ ადგილს იჭერს მიკროორგანიზმები, რომლებიც ძვირფასი და იშვიათი სამკურნალო საშუალებების წყაროებადაც გამოიყენებიან.

მიკროორგანიზმების კულტივირება დიდი მასშტაბით, როგორც ადამიანისა და ცხოველებისათვის განკუთვნილი ცილების წყარო (საკვების უკმარისობის პრობლემის გადასაწყვეტად), პირველად დაისვა გერმანიაში ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს. საამისოდ, დაიწყეს ლუდის საფუვრების კულტივირება სპეციალურად შემუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით. საფუვრებს უმატებდნენ წვნიანებში და ძეხვში. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში საჭმლის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო აგრეთვე საკვები საფუვრები. 1960 წელს გაჩნდა ტერმინი „ერთუჯრედიანი ორგანიზმების ცილები", რომლებიც მიიღებოდა საფუვრებისა და ბაქტერიების მასობრივი კულტივირებით და გამოიყენებოდა საჭმელად და ცხოველთა საკვებად.

ყველა სახის საფუარი აზოტის წყაროდ იყენებს ამონიუმის მარილებს, იშვიათად — ნიტრატებს. წარმოებაში დიდი მასშტაბით ცილის პროდუცირებისათვის საფუვრებს აძლევენ არაორგანულ აზოტს, ხოლო აზოტის წყაროდ — სხვადასხვა ორგანულ სუბსტრატებს.

50-იანი წლების ბოლოს, საფრანგეთში დაიწყეს მიკრობული ბიომასის წარმოება ნახშირწყალბადების გამოყენებით. 1975 წელს ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან ცილების მიღება დაიწყეს იაპონიაში. 1980 წელს იაპონელთა დახმარებით რუმინეთში აშენდა სპეციალური ფაბრიკა, რომელიც ყოველწლიურად იძლეოდა ასობით ტონა მიკრობულ ცილას. აშშ-ში თავდაპირველად არ გამოუჩენიათ დიდი ინტერესი მიკრობული ცილებისადმი, რის მიზეზიც იყო სოფლის მეურნეობის მაღალი განვითარება ამ ქვეყანაში. მაგრამ შემდგომში, დაახლოებით 1975 წლიდან, აქაც ინტენსიურად განვითარდა მიკრობული ცილების მიღება, რის დროსაც სუბსტრატად იყენებდნენ n-პარაფინებს, მეთილენსა და ცელულოზას. მსგავსი მრეწველობა განვითარდა ყოფილ საბჭოთა კავშირშიც, აშენდა რამდენიმე ათეული სპეციალური ქარხანა.

როგორც აღვნიშნეთ, სადღეისოდ საკვების, აგრეთვე ფარმაკოლოგიური ნაერთების მიღებაში დიდ და განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ წყალმცენარეები, რომელთა შორის აღსანიშნავია სპირულინა. თანამედროვე კლასიფიკაციით სპირულინა ეკუთვნის ე. წ. ციანობაქტერიების ჯგუფს. იგი შეიცავს რამდენიმე სახეობას, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული მტკნარ წყალსატევებში. ჯერ კიდევ 1551 წელს მექსიკაში, ამ ქვეყნის კოლონიზაციის პერიოდში, ესპანელ ბერნალ დიას დელ კასტილიოს ბაზარში უნახავს ყველისებრი მასის რაღაც კვერები („გალეტები"), რასაც ადგილობრივი მკვიდრნი — აცტეკები ტეკუიტლატლებს უწოდებდნენ და საკვებად ხმარობდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს კვერები დამზადებულია წყალმცენარე Spirulina maxima-დან, რომელიც მრავლადაა მეხიკოს მახლობელ ტბა ტეხსკოკოში. ტბის წყალი ტუტეა. 1964 წელს ბელგიელმა ბოტანიკოსმა ჟ. ლეონარმა საჰარაში ექსპედიციისას ყურადღება მიაქცია, რომ ჩადის ტბის მახლობელი სოფლების ბაზრებში ყიდდნენ „ლურჯ-მწვანე ფერის" კვერებს, რასაც ადგილობრივი მკვიდრნი (კანემბუს ტომები) დიჰეს უწოდებდნენ. აქაც აღმოჩნდა, რომ დიჰეს კვერებს ღებულობდნენ ტბის მიმდებარე ტუტე წყალსატევებში გავრცელებული წყალმცენარიდან, აშრობდნენ და ხმარობდნენ საჭმელად. ეს წყალმცენარე სპირულინას ერთ-ერთი სახეობა Spirulina platensis აღმოჩნდა. ამრიგად, დედამიწის ძლიერ დაშორებულ რაიონებში — ტეხსკოკოს ტბაში (მექსიკა) და ჩადის ტბის მახლობელ ტბორებში (აფრიკა) აღმოჩენილი იქნა სპირულინას ორი პოპულაცია რომლებიც, როგორც გაირკვა, ძვირფასი და ყუათიანი საკვები პროდუქტია. სათანადო ანალიზით აღმოჩნდა, რომ ეს წყალმცენარე შეიცავს 70%-მდე ცილას, 19% ნახშირწყლებს, 6% პიგმენტებს, 4% ლიპიდებს, 3% ნაცარს. ცილა თავისი ამინომჟავური შედგენილობით რძის უახლოვდება. მეტად მნიშვნელოვანია, რომ სპირულინას ცილაში დიდი რაოდენობით შედის მეთიონინი და ტრიპტოფანი. შედარებით ცოტაა ლიზინი. ნუკლეინმჟავების შემცველობა 4%-ს ჭარბობს და ამ მხრივ მხოლოდ საფუვრებს ჩამორჩება (საფუვრებში ნუკლეინმჟავების შემცველობა 10%-ს აღწევს. უმაღლეს მცენარეებში 1-2%-ია). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სპირულინას უჯრედებში დიდი რაოდენობითაა ფოტოსინთეზის პროცესში მონაწილე ერთ-ერთი მთავარი ფერმენტი — რიბულოზოდიფოსფატკარბოქსილაზა, რომელიც ძვირფასია როგორც ადამიანის საკვები ცილაც.

სპირულინას ბუნებრივი ადგილსამყოფელი ძლიერ ტუტოვანი (pH 11) წყლებია. ასეთ პირობებში იგი ძლიერ მრავლდება, როგორც მონოკულტურა. იმის გამო, რომ უჯრედები შეიცავენ აირით სავსე ვაკუოლებს და წარმოქმნიან გრძელი ძაფების გორგლებს, ტივტივებენ წყლის ზედაპირზე. გორგლები ქარს გამოაქვს ნაპირზე, სადაც მზეზე სწრაფად შრება და ადვილი მოსაგროვებელია.

სპირულინას უჯრედის კედელი თხელია, არა აქვს ცელულოზის კედელი, რის გამოც, ადვილად ინელებენ ცხოველები. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ბევრ ქვეყანაში დაიწყო ამ ძვირფასი მცენარის ხელოვნური კულტივირება ფართო საწარმოო მასშტაბით.

სპირულინას, როგორც საკვების, აგრეთვე, ფარმაცევტული ნივთიერებების წყაროს, დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ჯერ კიდევ 1967 წლის საფრანგეთის ნავთობის ინსტიტუტმა, მექსიკის კომპანია „სოსა ტეხსკოკო"-სთან ერთად, მექსიკის ტეხსკოკო ტბის (ამ ტბიდან ამუშავებენ სოდას 1936 წლიდან) დაახლოებით 900 ჰა ფართობიდან დაიწყეს სპირულინას შეგროვება. აღმოჩნდა, რომ სამ-ოთხ დღეში ტბაში წყალმცენარის ბიომასა ორმაგდება. მას აგროვებენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში, სუსპენზიას ფილტრავენ, აშრობენ ჰაერზე, რის შემდეგაც წყალმცენარის ბიომასა ფქვილად იქცევა. 1973 წელს აქ შეიქმნა სპეციალური ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 150 ტონა სპირულინას ფქვილს უშვებდა. მალე ფაბრიკის წარმადობამ 500 ტონას გადააჭარბა. 1977 წელს ფირმამ დააბანდა 5 მილიონი დოლარი ახალი საინჟინრო ნაგებობებისათვის წარმოების გაფართოებასა და ტოქსიკოლოგიური შემოწმების აუცილებლობასთან დაკავშირებით. 1982 წელს ფირმის წარმადობამ მიაღწია 1000 ტონას წელიწადში, რომლის ღირებულება შეადგინა 15 მილიონ დოლარს (ტბიდან სოდის წარმოების შემოსავლის მესამედს). მექსიკაში წარმოებული სპირულინას ფქვილი გააქვთ იაპონიაში, აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში. „სოსა ტექსკოკო" თავის პროდუქციას უშვებს სპეციალური აბებისა და კაფსულების სახით, რასაც მომხმარებელთან შეთანხმებით უმატებენ ვიტამინებს (ძირითადად A-სა და C-ს). 1982 წელს ამერიკის 9 კომპანიამ, რომლებიც დიეტური კვების პროდუქტებს ამზადებენ, შეისყიდეს 300 ტონა სპირულინას ფქვილი, ფირმა სპირულინას ფქვილს აწვდის მთავრობის სპეციალურ დაწესებულებებს, რომლებიც მოსახლეობის კვების გაუმჯობესებას ემსახურებიან.

ისრაელში ფირმა „ჰილზ კორ პროდაქშნ ლტდ" (ქ. ხაიფა). სპირულინას ამრავლებს ჭაობიან წყალსატევებში, რომელთა საერთო ფართობი ასობით ჰექტარია. 1982 წელს ფირმამ გამოუშვა 50 ტონა სპირულინას გამომშრალი ფქვილი რითაც კვებავენ საქონელს, უმატებენ ადამიანის საჭმელს. სამხრეთ იტალიაში აშენებულია დიდი ფაბრიკა სპეციალურად სპირულინას წარმოებისათვის. ფაბრიკის მოწყობილობა პოლიეთილენის მილებისაგან შემდგარი დახშული სისტემაა, რომლის საერთო ფართობი რამდენიმე ჰექტარია, 80-იანი წლების შუა ხანებისათვის ქარხნის საერთო წარმადობა იყო 20 გრ მშრალი სპირულინა ერთ კვადრატულ მეტრზე. ამჟამად არის გენეტიკური ინჟინერიის მეთოდებით გაუმჯობესებული შტამები, რომელთა გამოსავლიანობა ათეულჯერ სჭარბობს ველური შტამის გამოსავალს.

სპირულინას (აგრეთვე სხვა წყალმცენარეების) მწარმოებელი ფირმები არის სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში.

როგორც აღვნიშნეთ, სპირულინა მდიდარია ბიოლოგიურად მაღალღირებული ცილებითა და სხვა ნივთიერებებით, რის გამოც, წარმატებით გამოიყენება ცხოველებისა და ადამიანის დამატებით საკვებად. დადგენილია, რომ სპირულინას ხმარება საკვებში ხელს უწყობს სხვა ნივთიერებათა ათვისებას ორგანიზმში, ზრდის ჰემოგლობინისა და ერითროციტების რაოდენობას სისხლში. სპირულინას სუსპენზიის მცირე რაოდენობით დამატება შინაური ფრინველის საკვებში აჩქარებს ზრდას და ცოცხალი მასის მატებას, ასტიმულირებს კვერცხმდებლობას, აუმჯობესებს პროდუქციის თვისებებს.

სპირულინასაგან ამზადებენ მეტად ძვირფას ფარმაცევტულ და ბიოქიმიურ პრეპარატებს. ჩვენს ხელთაა, მაგალითად, ვიეტნამის ერთ-ერთი ფარმაცევტული ქარხნის მიერ დამზადებული სამკურნალო აბი სახელწოდებით — ლაქტოგილი. რომლის მიღება რძენაკლულ მეძუძურ ქალებში ასტიმულირებს ლაქტაციას. აბი უნიკალური შედგენილობისაა, სახელდობრ, მის ცილაში შედის 18 (!) ამინომჟავა, ვიტამინები A, B^1, B^2, B^3, B^6, B^{12}, E, პანტოთენმჟავა, კალციუმი, რკინა, კალიუმი, მაგნიუმი. სპირულინას აქვს ეკოლოგიური მნიშვნელობაც. კერძოდ, არის მონაცემები იმის შესახებ, რომ სპირულინა გამოიყენება ჩამდინარე გაბინძურებული წყლების გასაწმენდად. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით (1988 წ.) სპეციალურად საამისოდ შექმნილი მეურნეობანი წარმატებით ფუნქციონირებენ, მაგალითად, ჩილეში, ზოგიერთი მცენარის (კიტრი, წიწაკა, მზესუმზირა, პარკოსნები) თესლის სპირულინას სუსპენზიით დამუშავებისას მნიშვნელოვნად იზრდება აღმოცენების უნარი.

როგორც ირკვევა, სპირულინას კულტივირება და წარმოება ეკონომიკურად უაღრესად მომგებიანია და სათანადო მეურნეობის მოსაწყობად გაწეულ ხარჯებს სწრაფად ანაზღაურებს, გამოთვლილია, რომ 1 კგ ცხოველური ცილის წარმოებისათვის საჭიროა 5-10 კგ მცენარეული ცილა, სპირულინის ცილის წარმოება ასეთ დანახარჯებს არ მოითხოვს. მისი კულტივირებისათვის საჭიროა სინათლე, ჰაერი და იაფი მინერალური მარილები. ტოლ ფართობზე სპირულინა იძლევა მინიმუმ 10-ჯერ მეტ ცილას, ვიდრე ხორბალი. ქვემოთ ცხრილში მოყვანილია მონაცემები, რომლებიც ნათლად მოწმობენ სპირულინას უპირატესობას ცილის წარმოებისათვის სხვა მცენარეებთან შედარებით.

წლიური გამოსავლიანობა ჰექტარზე

	[illegible]	[illegible]
ხორბალი	4	0,5
სიმინდი	7	1,0
სოიის პარკი	6	2,4
სპირულინა	50	35

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სპირულინას კულტურამ ინტერესი გამოიწვია ჩვენშიც. 1991 წლის დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიამ რუსთავის ორ [illegible] სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან ერთად შეიძინა სპირულინის პასპორტიზებული შტამი, როგორც სამეცნიერო, ისე სამეურნეო მიზნებისათვის. განვლილი პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა, ლაბორატორიის თანამშრომლებმა [illegible] გარკვეა, მოიპოვეს მისი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური მახასიათებლები, გამოვლენა და კულტივირების [illegible] ჯერჯერობით მცირე (ლაბორატორიული) მასშტაბით.

ექსპერიმენტებმა, რომლებიც მოეწყო მარნეულის მეფრინველეობის ფაბრიკაში, საინტერესო შედეგები მოგვცა: ახლადგამოჩეკილი წიწილების საკვებს 25 დღის განმავლობაში ემატებოდა ჩვენს მიერ დამზადებული სპირულინის ფქვილი, დღეში 10 მგ (მგ-0,001 გრ), წიწილების გადარჩენის ნამატმა შეადგინა 16% ხოლო წონაში ნამატმა 12%.

პირველი შედეგები და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრივ ყურადღება გვაიმედებს, გადავლახოთ სიძნელეები, შევქმნათ და შევძლოთ სპირულინას კულტივირება [illegible] ფართო საწარმოო მასშტაბით, როგორც სამეურნეო, ისე ფარმაკოლოგიური მიზნებისათვის.

დავით ჯოხაძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილების ექო

„ამბავი ერთი დეპეშისა"

„საქართველოს რესპუბლიკა", № 62

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. თოდუა

როგორც შემოწმებით დადგენილია, მოქალაქე ჯაშიაშვილის მიერ ქ. თბილისის კავშირგაბმულობის მე-7 განყოფილებიდან 1993 წლის 16 თებერვალს 11 საათსა და 50 წუთზე გაგზავნილი დეპეშა № 7/901 მისამართით: ჭიათურა, ნიგოზეთი, ხათუნა ჯაოშვილს, ჭიათურაში მიიღეს იმავე დღის 13 საათსა და 10 წუთზე, მაგრამ იგი ადრესატს დროულად არ ჩაბარდა ჭიათურა-ნიგოზეთს შორის მოქმედი სოფლის სატელეფონო ქსელის საკაბელო ხაზის მოპარვის გამო.

სოფელ ნიგოზეთში დეპეშის ადრესატისათვის ფოსტალიონის მეშვეობით ჩაბარება, დიდთოვლობის გამო, შესაძლებელი გახდა მხოლოდ 23 თებერვალს.

სატელეგრაფო წესების თანახმად, ჭიათურის ტელეგრაფის მუშაკებს დეპეშის ჩაუბარებლობის შესახებ უნდა შეეტყობინებინათ დეპეშის გამგზავნისათვის, რაც არ გაკეთებულა. ამის გამო კავშირგაბმულობის ჭიათურის საწარმოო სამმართველოს უფროსის № 54 ბრძანებით ტელეგრაფის ბრიგადირს ქ. აბაშიძეს დაედო დისციპლინური სასჯელი.

მოქალაქე ჯაშიაშვილს დეპეშის სატარიფო ღირებულება დაუბრუნდა 27 მარტს.

ბოდიშს ვიხდით მომხდარი ფაქტის გამო.

„ქალაქი ნაგავში იხრჩობა"

„საქართველოს რესპუბლიკა", № 48-49

ამ საკითხზე რედაქციამ რამდენიმე პასუხი მიიღო.

გლდანის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე თ. ანდღულაძე:

გაცნობებთ, რომ საოჯახო ნარჩენები საცხოვრებელი კორპუსებიდან და სხვა ობიექტებიდან სისტემატურად გააქვთ. რეგულარულად ხდება კონტეინერების შეცვლა. ნაგვის გატანის საქმეში ჩართულია როგორც საწარმო-დაწესებულებები, ისე ადგილობრივი მოსახლეობაც. ეწყობა სანიტარიული დღეები.

მაწანწალა ძაღლების სალიკვიდაციოდ დასუფთავების სამსახურთან შექმნილია სპეციალური ბრიგადა, რომელიც ძირითადად ღამის საათებში მუშაობს.

ვაკის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ლ. აბაშიძე: წერილში აღნიშნული ფაქტები მართლაც იყო გასულ თვეებში სპეცმანქანების საწვავით მომარაგებაში შეფერხებების გამო. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მოეწყო სანიტარიული დღეები ორგანიზაციების და მოსახლეობის მონაწილეობით. დღეისათვის რაიონის ტერიტორია ნაგვისგან გასუფთავებულია.

ამასთან გაცნობებთ, რომ სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის საწვავით ნორმალურად მომარაგების შემთხვევაში, რაიონის ტერიტორიაზე ნაგვის გაუტანლობის ფაქტები არ გვექნება.

დიდუბის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე თ. ზერიძე: დიღმის მასივში ა. ბელიაშვილის ქუჩაზე (ს. ახმეტელის ქუჩიდან მორფოლოგიის ინსტიტუტამდე) უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქალაქის სხვადასხვა დანგრეული და სარეკონსტრუქციო რაიონებიდან უნებართვოდ შემოზიდეს და დაყარეს დიდი რაოდენობით სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგავი.

მტკვარზე, დიდი დიღმისა და გლდანის მასივების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის დამთავრების შემდეგ გაგრძელდა ა. ბელიაშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდა ქალაქის საგზაო მეურნეობის სამმართველო. ამ სამუშაოების შეჩერებამ გამოიწვია უნებართვო ნაგავსაყრელის წარმოქმნა. ამაზე, დიდუბის რაიონის გამგეობამ 1993 წლის 25 იანვარს წერილით აცნობა ქალაქის მერიას და სთხოვა აღნიშნული ნაგავსაყრელის მიდამოების დასუფთავება და ბელიაშვილის ქუჩის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გაგრძელება.

დიდუბის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი სამშენებლო ორგანიზაციების ძალებით სამშენებლო და საოჯახო ნაგვისგან გაწმინდა დაახლოებით 3000 კვ. მ. ფართობი.

ამჟამად მოწყობილია ხელოვნური ბარიერები, რათა დამატებით არ შეიტანონ და დაყარონ ნაგავი.

დიდუბის რაიონის გამგეობის 1993 წლის 1 აპრილის № 73 განკარგულებით რაიონის მილიციას და შესაბამის სანიტარიულ სამსახურებს დაევალათ, დააწესონ მკაცრი კონტროლი ნაგავსაყრელის სალიკვიდაციო სამუშაოებსა და სანიტარიულ წესრიგზე.

ნაძალადევის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. არჩვაძე: სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით რაიონში ტარდება სანიტარიული დასუფთავების დღეები, რომლებშიც სპეცავტომეურნეობასთან ერთად, მონაწილეობენ საწარმო-დაწესებულებების კუთვნილი მანქანა-მექანიზმები, აგრეთვე, სატრანსპორტო გაერთიანება.

უნდა აღინიშნოს, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა სანიტარიული მდგომარეობა. რაიონის თითქმის ყველა უბანში გაიწმინდა უკანონო ნაგავსაყრელები და ნაგავშემკრები ბუნკერები.

ასე თუ ისე არ ვუწოდო...

ქედმაღლობისა და უმეცრების თავგასულობა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის გრიფით გამოვიდა მურმან თავდიშვილის წიგნი „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები". ანოტაცია გვაუწყებს, რომ აქ „ძირითადად წარმოდგენილია პოემის ტექსტის პრობლემებზე მსჯელობა, დადგენილია და მეცნიერული მსჯელობის საფუძველზე (რუსთველისეული კანონზომიერებების მომარჯვებით) აღდგენილია გენიალური ნაწარმოების მრავალი ამოცილებული სტროფი".

ჩვენი წერილი რეცენზია არ არის. იმის განსჯას არ მოვყვებით, როგორაა „დადგენილი" და „აღდგენილი" საცილობელი სტროფები. ამას უფრო ვრცელი და საგანგებო საუბარი სჭირდება.

ჩვენ იმას მივაპყრობთ ყურადღებას, რაც საგულისხმოდ და დამაფიქრებლად გვიჩვენება ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისათვის. მეცნიერული მოწიფულობისა თუ ერუდიციის რომელ საფეხურზე, ერთი მხრივ, და მოქალაქეობრივ-მეცნიერული ეთიკის რა დონეზეა, მეორე მხრივ, დაფუძნებული ეს წიგნი. თუ პირველი საეჭვო დონეა, მეორე — აშკარად სავალალოდ წარმოგვიდგება.

ჯერ პირველის შესახებ. წიგნის 27-ე გვერდზე ავტორი იხებს „ვეფხისტყაოსნის" პროლოგს, კერძოდ, რუსთველის მოძღვრებას პოეზიის შესახებ და ბრძანებს, რომ აქ განვითარებულ თეორიას „ადვილად ჩახვდება ნებისმიერი მოაზროვნე პიროვნება, იქნება მერვეკლასელი თუ აკადემიკოსი". აი, ასე ადვილად „ჩასახვდომად" წარმოუდგება მ. თავდიშვილს ყორმის თეოლოგიურ, ესთეტიკურ, ფილოსოფიურ განსჯათა ის მონაკვეთი, რომლის ინტერპრეტაციას ამდენი ჯაფა და დრო შეალიეს ნ. მარმა, კ. კეკელიძემ, ალ. ბარამიძემ, ვ. ნოზაძემ, მ. გოგიბერიძემ, გ. ნადირაძემ, მ. დუდუჩავამ, ზ. გამსახურდიამ, ელ. ხინთიბიძემ, რ. თვარაძემ, რ. სირაძემ... შეალიეს, მაგრამ ზოგიერთი რამ დღესაც სადავო და დასაზუსტებელია (მაგალითად, რას ნიშნავს „სიბრძნის დარგი"). რაკი ასე ადვილდება რუსთველის ესთეტიკურ განსჯათა სფერო, მ. თავდიშვილი შესატყვისი სიმსუბუქითაც დაჭრის იქ (საგულისხმოა, რომ ამ პრობლემის ანალიზისას ავტორი არ მოიხმობს არც ერთ სპეციალურ რუსთველოლოგიურ ნარკვევს, იგი არ ემყარება არც ზოგად-თეორიული ხასიათის რომელიმე გამოკვლევას პოეტიკის, ლიტერატურის თეორიის, ესთეტიკის დარგში). შესაბამისად მსუბუქი და ჰარი-ჰარალეა წარმართული მისი მსჯელობა. მელექსეთა სამ კატეგორიაზე რუსთველისეულ მსჯელობას, მაგალითად, ასეთი კომენტარი მიაცილებს: „ჭეშმარიტი პოეტი ვერ დააკმაყოფილებს საკუთარ ნიჭს ლირიკულ ლექსებზე („მეირი", „მესაფლავე"...), მას არც „ცოტაი ლექსი", „ნაწილი მოშაირეთა" („ალუდა ქეთელაური", „განდეგილი"...) ეყოფა თავისი დიდი და ერთიანი, განუყოფელი სათქმელის სივრცით და სარბიელად, ხოლო სახუმარო-სალაღობო პოეზია ხომ დიდი, სერიოზული პოეზიის დესერტია და არა თვით პოეზია" (გვ. 29).

თავი გავანებოთ იმის განსჯას, რამდენად ლოგიკურია მეთორმეტე საუკუნის ესთეტიკურ დეფინიციათა არსის მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის პოეტურ ნიმუშთა მოხმობით ილუსტრირება. უამისოდაც ულოგიკო და ერთობ სუბიექტურია მ. თავდიშვილის მსჯელობა. წარმოუდგენელია, რომ „მეირისა" და „მესაფლავის" (ან „მერანისა" და „განთიადის") რანგის პოეტურ ნიმუშებზე ბრძანებდეს რუსთველი: „უმსგავსოა" და „შორი-შორიო", ხოლო მათ შემქმნელებს „მოშაირე არა ჰქვიანო". სრულიად შეუძლებელია, „ლექსი ცოტაის" ნიმუშად „ვეფხისტყაოსნის" ავტორს „ალუდა ქეთელაურისა" და „განდეგილის" მსგავსი ნაწარმოებები წარმოედგინა (როგორც ეს მ. თავდიშვილს ჰგონია), ვინაიდან, თავისი დღევანდელი ინტერპრეტატორისგან განსხვავებით, რუსთველს კარგად მოეხსენება, რაზე ლაპარაკობს და რა არ უნდა იგულისხმოს მისმა მკითხველმა. შაირის სამივე სახეობა (მათ შორის „ლექსი ცოტაიც"), მკვლევართა შეთანხმებული აზრით, ლირიკულ ლიტერატურულ გვარს განეკუთვნება, ხოლო „ალუდა ქეთელაური" და „განდეგილი" რომ ლირიკა არ არის, ცხადია. მესამე სახეობის შაირი, „ვეფხისტყაოსნის" ავტორის მიხედვით, როგორც მ. თავდიშვილი ბრძანებს, „სერიოზული პოეზიის დესერტია და არა თვით პოეზია" (ყურადღება მიაქციეთ მსჯელობის სტილს: „...დესერტია..." ასეთი „ლაღობანი" უხვადაა ამ წიგნში). რუსთველი კი ამ „მესამე ლექსის" თაობაზე ამბობს: „მესამე ლექსი კარგია". რა ვქნათ, ვის დავუჯეროთ?!.

უცნაურია, მაგრამ ამ წიგნის ავტორისათვის ერთობ სერიოზული მეცნიერული დასკვნისათვის საყრდენად ხშირად მისივე ერთობ სუბიექტური შეფასება, ესთეტიკური ალღო და გემოვნების ნაკარნახევი გვევლინება. მ. თავდიშვილი „ბედნიერ შვიდ რიცხვზე შეჩერდება" და ძველი ქართული ლიტერატურის შვიდ ნიმუშს, „ესთეტიკურ-მხატვრული ძალის" მიხედვით, ასე გაანაწილებს:

1. რუსთველი — „ვეფხისტყაოსანი"
2. უცნობი ავტორი — „ინდოხატაელთა ამბავი"
3. დ. გურამიშვილი — „დავითიანი"
4. არჩილის შემოქმედება
5. თეიმურაზის შემოქმედება
6. ვახტანგ მეექვსის პოეზია
7. ხვარაზმელთა ამბავი

მ. თავდიშვილს ეჭვი არ ეპარება, რომ ადგილების ასეთ განაწილებაში „ეჭვი არავის შეეპარება" და ამ უეჭველი სტატისტიკის ძალით ამაგრებს თვალსაზრისს, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავიც" რუსთველისაა, რაკი იგი ამ ცხრილში მან გურამიშვილის წინაც კი დასვა. „რა ხდება? — შესძახებს ამ ცხრილის ავტორი, — ვიღაც უცნობმა, უსახელო ინტერპოლატორ-გამგრძელებელმა აჯობა ყველას, გარდა რუსთველისა. მაშ, ვინღა შეიძლება იყოს ისეთი პოეტი, ვინც რუსთველის მეტს ქართულ პარნასზე ყველას ჩაგრავს? ეს პოეტი არის... ეს პოეტი არის ის შემოქმედი, რომელიც ძალზე ახლოსაა რუსთველთან და ძალზე შორსაა რჩეულ პოეტ-ესთეტიკოსებთან: გურამიშვილთან, არჩილთან... დიახ, ეს პოეტი არის ის, ვინც ბრძანა..." (გვ. 373). მხოლოდ შემდეგი წინადადების ბოლოს ეტყვის მოლოდინით და ემოციური მინიშნებებით აღელვებულ თავის მკითხველს წიგნის ავტორი, — რუსთველიო!...

მ. თავდიშვილი ხშირად ვერ იკავებს „ასეთი ლოგიკური ექსპერიმენტის დაყენების მღელვარე წადილს" (გვ. 372) და ერთობ სუბიექტურ განსჯათა ამგვარ ნაკარნახევთა მოშველიებით ცდილობს გაამაგროს ერთობ პრობლემატური დასკვნები.

მ. თავდიშვილი რუსთველოლოგიის ფუნდამენტურ მონაპოვართა უცოდინარობას (ან მის არსში გაურკვევლობას) ავლენს, როცა წერს: „ვეფხისტყაოსანში" თანაბრად უგულებელყოფილია როგორც მაჰმადიანური, ისე ქრისტიანული ან კიდევ სხვა რელიგიური ცნებები და ალუზიები" (გვ. 304).

დღეს უკვე გარკვეულია და აღარავინ დავობს იმის თაობაზე, რომ რუსთველის მსოფლმხედველობას, მისი გმირების მსოფლშეგრძნებას საფუძვლად უდევს და აკვალიანებს ქრისტოლოგიური რელიგიური ცნებები, ქრისტიანული მსოფლშეგრძნება.

მ. თავდიშვილს „დაუდგენია" რამდენიმე რუსთველური კანონზომიერება. ერთი მათგანია „წასვლა-მოსვლის თანმიმდევრობის კანონზომიერება". იგი ასე ვლინდება თურმე: „თუ პერსონაჟის სადმე მისვლაა აღწერილი, მას წინ უსათუოდ უნდა უსწრებდეს საწყისი პუნქტიდან მისი გამოსვლის აღწერაც" (გვ. 437). „მეშვიდე კანონზომიერება, რაც პოემა-ეპოპეაში დგინდება — ეს გახლავთ პოემის წინამორბედ თხზულებათა („ამირანდარეჯანიანი", „ვისრამიანი") რუსთველური რემინისცენციის კანონზომიერება" (გვ. 444).

და თუ ასეთი გადაძახილი-შეხმიანება „ვეფხისტყაოსნის" ე. წ. „დაფანტულ სტროფებში" იპოვა, მ. თავდიშვილისთვის ეს იმის არგუმენტია, რომ ეს სტროფი რუსთველისაა, ვინაიდან რემინისცენციის კანონზომიერება მას რუსთველის პოემის სპეციფიკად მიუჩნევია. რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ რემინისცენციის კანონზომიერება შუა საუკუნეების ლიტერატურის ზოგადი თვისებაა.

მეცნიერული მოწიფულობის რომელ საფეხურზე დგას „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფების" ავტორი, ჩანს წიგნს დართული „პირთა საძიებლიდანაც". აქ ერთგან, გვ. 521-ზე, ასო-ნიშან ინ-ის ბუდეში, „იორდანიშვილი ს."-ს შემდგომ აღნუსხულია: „იესო ქრისტე"; მეორეგან, გვ. 523-ზე, ასო-ნიშან ქან-ის ბუდეში, „ქობულაძე სერგის" შემდგომ დაფიქსირებულია: „ქრისტე".

უფრო სავალალო მაინც ისაა, რომ ეს წიგნი ელემენტარული მოქალაქეობრივ-მეცნიერული ზნეობრივი ნორმების უარმყოფელია. ქედმაღლობისა და ღვაწლმოსილ წინაპართადმი უპატივცემულობის, უფრო სწორი იქნება, აბუჩად აგდების, ასეთი გამოვლინებანი უიშვიათესია. მივმართოთ მაგალითებს. „ათასგვარი სამეცნიერო ნაშრომიდან, რაც კი ოდესმე დამიწერია, „უმჯობესობს" ეს გამოკვლევა", — გვაუწყებს მ. თავდიშვილი თავისი წიგნის ბოლოსიტყვაობაში (გვ. 519). ნეტავ სად ალაგია ის „ათასგვარი" გამოკვლევა ახალგაზრდა კაცისა?! მათ შორის ეს „უმჯობესობს"?!

ვახტანგ მეექვსის ღვაწლს ასე „აჯამებს" მ. თავდიშვილი: „ვახტანგმა ჩაიფლავა ეროვნული პოლიტიკა, ჩაიფლავა ურთიერთობანი; თავისი ნიჭის შესატყვისი ნაყოფი ვერ მოიწია ვერც ლიტერატურაში და, რაც ჩემთვის ერთობ მნიშვნელოვანია, ჩაფლავა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის საქმეც... დიდ ავტორიტეტს ამოფარებული რუსთველოლოგთა თაობები ვერ გათავისუფლდნენ ვახტანგის ზეგავლენისაგან და ამიტომაც ქართველ ხალხს დაუმალეს სრული და მთლიანი ტექსტი. ამ ანტიეროვნული საქმის ინიციატორი და მებალავრე ვახტანგ მეექვსეა, სხვები — მიმდევრები" (გვ. 515).

და აი, გამოჩნდა მხსნელი. ვახტანგ მეექვსისა და მისი მომდევნო რუსთველოლოგების „ანტიეროვნულ საქმეთა" მამხილებლად მოსულა მურმან თავდიშვილი. თუ ვახტანგმა და მისმა მემკვიდრეებმა ხალხს „დაუმალეს ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტი", „დაფანტული სტროფების" მომკრების უსაბოლოო მიზანია ამ მონოგრაფიულ ნარკვევზე დაყრდნობით გამოსცეს „ვეფხისტყაოსნის" ახალი, ყველაზე სრული ტექსტი" (ასე წერია წიგნის ანოტაციაში). ადვილი წარმოსადგენია, ამგვარ გამოკვლევაზე რაგვარი ტექსტიც ამოიზრდება!...

ახლა ვნახოთ, როგორ აფასებს მ. თავდიშვილი კ. კეკელიძის მეცნიერულ მემკვიდრეობას: „რაც შეეხება მის როლს რუსთველოლოგიაში, სამწუხაროდ, ეს არის მეტისმეტად უარყოფითი, საშინლად უარყოფითი... არ არსებობს რაიმე სერიოზული რუსთველოლოგიური საკითხი, მას რომ სწორად აეხსნას. კ. კეკელიძის კვლევა-ძიებამ რუსთველოლოგიის სფეროში სრული ფიასკო განიცადა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის უდიდესმა მკვლევარმა პოემის ვერც პოეტური რიტმი შეიგრძნო, ვერც ისტორიულ-ლიტერატურული თემატიკა გაითავისა" (გვ. 516). ამ სტრიქონების ავტორის თავხედობას, მარტო მისივე უმეცრება თუ შეედრება რუსთველოლოგიის სფეროში. მ. თავდიშვილმა არ იცის, რომ, მაგალითად, პირველად სწორედ კ. კეკელიძემ დაასაბუთა და ღრმა მეცნიერული არგუმენტებით ცხადჰყო რუსთველის მსოფლმხედველობის ქრისტიანული არსი. საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიური ძნელბედობის პირობებში სწორედ იგი ამაგრებდა „ვეფხისტყაოსნის" კვლევის ამ დიდ ბოძს.

ახლა ვნახოთ აკ. შანიძის შესახებ რას ბრძანებს მ. თავდიშვილი: „საკმაოდ შავბნელი როლი შეასრულა რუსთველის ხსოვნის წინაშე აკაკი შანიძემ. ჯერ ერთი, უპირველესად იმით, რომ უარგუმენტოდ განაცხადა: ძალიან ადვილად დამტკიცდება, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი" რუსთველისა არ არისო... გარდა ამისა, აკაკიმ (ენათმეცნიერმა) ბევრი რითმა, სტროფი და სიტყვა გაუსწორა რუსთაველს (პოეტს) გრამატიკულად, რითაც პოეზია დაუმახინჯა. აკაკი შანიძეს ეს მაშინაც არ ეპატიებოდა, აკაკი წერეთელიც რომ ყოფილიყო" (გვ. 516).

უფრო ნაკლებ გამოჩენილი მოღვაწეების კიცხვა წიგნში ამგვარ „ლაღობაში" გადადის: „მახათაძე რუსთველოლოგიაში მახათივით შეიჭრა, ოღონდ ამ მახათს ბოლოში ძაფი არ აღმოაჩნდა. ამიტომაცაა ვერც ვერაფერი გახადა „კეროული"... (გვ. 518); „ასეთი ყალბი და რიოშია ალ. სარაჯიშვილის მეორე განცხადებაც" (გვ. 277); „რუსთველოლოგიაში ალექსანდრე ჭინჭარაული ჰექტორის სისუსტეს ავლენს. ამიტომ დავსდევ მას მეცნიერული შუბით როგორც აქილევსი ჰექტორს და ვლამობ, / გრამატიკულ-ენათმეცნიერული ტროას კედლებში შევლალო" (გვ. 278).

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მე არ მეგულება ქართულ ენაზე დაბეჭდილი მეორე წიგნი, სადაც ეროვნული კულტურისათვის დიდად დამაშვრალ მოღვაწეებს ასეთი ნიჰილიზმით, კიცხვა-გინებით უმასპინძლდებოდნენ. გამომკვლევის შესავალში წერია: „ჩემი კადნიერება, შევეხებოდი პოემის ზოგიერთ კარდინალურ საკითხს, გრაფომანის გამოხდომა როდია" (გვ. 3). ჩვენ ვიტყოდით: ასეთი ნაშრომი მაშინ იქმნება, როცა გრაფომანიის სენს უერთდება სნება ეროვნულ მოღვაწეთა აბუჩად აგდებისა.

ხოლო საზოგადოება, სადაც არ ეუხერხულებათ, ვიზა მისცენ ასეთ წიგნს და მერე დასტამბონ იგი, ზნეობრივი გამოფიტვის საშიშროების წინაშეა. ახლა ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ თავგასულობისა და ნიჰილიზმის ეს ნაზავი პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის სახელითაა დასტამბული, ნაკურთხი.

გრიგოლ ფარულავა.

მხოლოდ საერთო ძალით

6 მაისს თბილისის კინოს სახლში გაიმართა სახალხო მოძრაობის — „ერთობა და კეთილდღეობა" მორიგი შეკრება, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნისა და მომავალი მუშაობის პროგრამა. ჯერ კიდევ მოძრაობის დამფუძნებელ სხდომაზე დარიგებულ კითხვარებში გამოთქმულ მოსაზრებათა ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ მოძრაობის საქმიანობა წარიმართება კონკრეტული პროგრამების მიხედვით, თვითორგანიზების საფუძველზე. დაარსდა კლუბი, რათა მოძრაობის წევრებს ჰქონდეთ აზრთა გაზიარების, უშუალო ურთიერთობის, მოქმედების ერთობლივი გზების შესაძლებლობა. კლუბის საქმიანობას წარმართავენ: დავით წერედიანი, რეზი თვარაძე, რეზო გაბრიაძე, ვანო კილურაძე, გაიოზ შარაშიძე, ნანა მაჭაშვილი. უკვე გამოიკვეთა რამდენიმე სამუშაო პროგრამა, აირჩიეს მათი კოორდინატორებიც. ეს პროგრამებია: ბიზნესის და წარმოების განვითარება, განათლება, (კოორდინატორი — ვახტანგ როდონაია), მედიცინა (დავით ვირსალაძე), ხელოვნება (თამაზ გომელაური), ბავშვთა პრობლემატიკა (მარინე მირიანაშვილი), საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა (გია ჟორჟოლიანი), მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (მარინე მუსხელიშვილი), ეროვნებათაშორისი და რეგიონებთან ურთიერთობანი (ირაკლი მაჭავარიანი) და სხვა. ეს სექციები უკვე შეუდგნენ მუშაობას. გრძელდება სხვა პროგრამებზე მომუშავე ახალი სექციების ჩამოყალიბების პროცესი.

სახალხო მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობის" ყრილობის მოწვევამდე მოძრაობის საორგანიზაციო საქმიანობას სექციების კოორდინატორებთან ერთად წარუძღვებიან მოძრაობის ჩამოყალიბების ინიციატორები (ელდარ შენგელაია, მანანა გიგინეიშვილი, ლანა ღოღობერიძე, გია ჟორჟოლიანი, ნოდარ ჯიბლაძე, ნინო მამრაძე, ბესო წილოსანი).

შეკრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლის ტექსტსაც ქვემოთ გთავაზობთ.

მოძრაობის — „ერთობა და კეთილდღეობა" ძირითადი სამოქმედო პრინციპები

XX საუკუნეში საქართველო უკვე მეორედ გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. დღეს, განსხვავებით XX ს.-ის დასაწყისისაგან, საგარეო ვითარება შეუდარებლად ხელსაყრელია ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა.

რევოლუციური ფრაზების, ლოზუნგების, მოთხოვნების, მიტინგების დრო გავიდა. სიტყვა უნდა შეცვალოს საქმემ. სხვაგვარად ჩვენ ვერ შევძლებთ იმ ვალის მოხდას მომავალი თაობების წინაშე, რომელიც დრომ და ისტორიამ დაგვაკისრა — დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ტრანსფორმაციის პროცესშია, იწყება ღრმა ცვლილებები ეკონომიკაში, სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. აუცილებელია ამ ცვლილებებისათვის მიზანმიმართული ხასიათის მინიჭება, მრავალმხრივ რეფორმათა პროგრამის მკაფიოდ ჩამოყალიბება და, რაც მთავარია, რეფორმების პრაქტიკული განხორციელება. აუცილებელი ხდება სპეციალისტებისა და პროფესიონალების — მეცნიერების, მეწარმეების, ბიზნესმენების, ფერმერებისა და ხელისუფლების თანამშრომლობის ფორმათა მოძიება. ეს კავშირი დღეს დარღვეულია. ერთი მხრივ, საზოგადოება სრულად ვერ ინაწილებს მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ ძალთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყვეტილია საზოგადოების უმთავრეს ინტერესებსა და პრობლემებს. დღეს არ არსებობს პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს საზოგადოების უმთავრესი ინტერესების წარმოჩენას და ხორცშესხმას. დღევანდელ ვითარებასა და ჩვენს პოლიტიკურ ტრადიციებსაც თუ გავითვალისწინებთ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში მოხერხდეს ასეთი პოლიტიკური ძალის ფორმირება. ქვეყნის წინაშე წამოჭრილი უმწვავესი პრობლემების მოგვარება, კრიზისული ვითარებიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრიობის უდიდესი ნაწილის საერთო ძალისხმევით, მისი ძირითადი ძალების კონსოლიდაციითა და მათი უშუალო ჩართვით უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრაში.

სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და ეკონომიკის გაცოცხლებაზე (და არა გამოცოცხლებაზე) ერთობლივი ზრუნვით უნდა შევძლოთ თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოების შექმნა.

მყარი სახელმწიფოებრიობის ფორმირება შეუძლებელია ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გარეშე, იმის გააზრების გარეშე, რომ საქართველოს მოქალაქენი განეკუთვნებიან ერთ პოლიტიკურ ერთობას — საქართველოს სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. ეს არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპს. პირიქით, პოლიტიკურ პლურალიზმში იგულისხმება თანაცხოვრების ზოგადი პრინციპების შესახებ თანხმობა.

ქვეყნის არსებობისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკა. ჩვენი ეკონომიკური ვითარება საგანგაშოა თავისი პოლიტიკური და სოციალური შედეგებით.

ეკონომიკურ რეფორმაზე პასუხისმგებლობა უნდა იკისროს მთელმა საზოგადოებრიობამ და არა მხოლოდ ხელისუფლებამ, პარლამენტმა და მთავრობამ. ამ მხრივ, სრულიად განსაკუთრებულია როლი იმ ადამიანებისა, რომლებიც ჩართულნი არიან რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში, წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ბიზნესში.

რეფორმების პრაქტიკა და ტაქტიკა უნდა განისაზღვროს იმ ჯგუფების, იმ ადამიანების გამოცდილების გათვალისწინებით, რომელნიც უშუალოდ არიან დასაქმებულნი ეკონომიკაში, ეკონომიკის სტაბილიზაცია შეიძლება მოხერხდეს მხოლოდ საწარმოების, წარმოებაში უშუალოდ ჩართული ადამიანთა ჯგუფების, კომპეტენტური ინტელექტუალური ძალებისა და ხელისუფლების კონსტრუქციული თანამშრომლობით. საჭიროა, გამოვლინდეს სოციალურ ჯგუფთა რეალური ინტერესები და მათი ურთიერთშეთანხმების გზები.

ადამიანები არ უნდა იყვნენ სხვისი (თუნდაც მათ მიერვე არჩეული პოლიტიკური ძალების) გადაწყვეტილებების მხოლოდ შემსრულებელნი. აუცილებელია, რომ სხვადასხვა სოციალურ ძალთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ურთიერთგაგებისა და დაახლოების უწყვეტ პროცესში, რაც იქნება გარანტია საერთო ინტერესების განხორციელებისა.

დროა, დაიწყოს ხელისუფლებასთან იმგვარი თანამშრომლობა, რომ დაჩქარდეს რეფორმათა რეალიზაცია, ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა.

ამგვარ პრინციპებზე დაყრდნობით ვარაუდობს თავისი მოღვაწეობის წარმართვას სამოქალაქო მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა".

ჩვენი ღრმა რწმენით, დასახული მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევით.

მოგმართავთ იმედით, რომ ყველა, ვინც იზიარებს ჩვენს შეხედულებებს, აქტიურად ჩაერთვება მოძრაობის საქმიანობაში.

მედიცინა

ფრიდონი და მისი თანამოაზრენი

პროფესორ ფრიდონ თოდუას მიერ თბილისში დაარსებული უნიკალური სადიაგნოსტიკო ცენტრის არსებობის თაობაზე კარგად არის ინფორმირებული ჩვენი საზოგადოებრიობა; ისიც ცნობილი გახდა, რომ თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ჯერ კიდევ მშენებარე მაღლივი კორპუსის სამ სართულზე განლაგებულ, სამედიცინო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილ ამ დაწესებულებას თითქმის ერთი წელია სტატუსი შეეცვალა და მას საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეწოდა.

სტატუსის შეცვლა განაპირობა აქ განხორციელებულმა კვლევის ფართო მეთოდების გამოყენებამ, რომელიც თანამედროვე სტანდარტების დონეს შეესაბამება, აგრეთვე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კომპეტენტურობამ და მიღებული შედეგების დიდმა სამეცნიერო და პრაქტიკულმა მნიშვნელობამ.

ბატონ ფრიდონს იმ დროს შევხვდით, როცა იგი ავსტრიაში გასაგზავნ თანამშრომელთა სიას აზუსტებდა. საქმე ის არის, რომ ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის სახელზე სასიხარულო ცნობა მოვიდა ავსტრიის ქალაქ გრაციდან, რომელსაც ხელს აწერს გრაცის უნივერსიტეტის რადიოლოგიის კლინიკის დირექტორი, პროფესორი რ. რიენშიულერი. იგი კმაყოფილებას გამოთქვამს თბილისში გახსნილი სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის დაარსების, აგრეთვე იმის გამო, რომ ამ ინსტიტუტის ორგანიზება დაევალა მსოფლიოში ცნობილ რადიოლოგს, პროფესორ ფრიდონ თოდუას. ქ. გრაცის უნივერსიტეტის რადიოლოგიის კლინიკა, ევროპის რადიოლოგიის საერთაშორისო ასოციაციასთან ერთად, სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას ჰპირდება თბილისის ინსტიტუტს. ამ მიზნით ავსტრიაში იწვევენ ათ-თხუთმეტ ექიმს, რომლებიც მომავალი წლის ივლისში რადიოლოგიაში დახელოვნების კურსს გაივლიან და მთელ ხარჯებს ევროპის რადიოლოგიის ასოციაცია გაიღებს. ეს ხელს შეუწყობს სამედიცინო დარგის ინფორმაციის გაცვლას, აგრეთვე გააღრმავებს ჩვენი ხალხების მეგობრულ ურთიერთობას.

— ჩვენ მზად ვართ, — აღნიშნულია წერილში, — შესაძლებლობის ფარგლებში, სამედიცინო მოწყობილობით დავეხმაროთ თბილისის ინსტიტუტს, რომელსაც პროფესორი ფრიდონ თოდუა ხელმძღვანელობს. ამით გვინდა მცირედი წვლილი შევიტანოთ იმის აღიარებაში, რაც თქვენ გაწიეთ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს ევროპისა და, საერთოდ, მთელი მსოფლიოსათვის, ასევე თქვენი და ჩვენი ხალხებისათვის.



— ამ წერილთან დაკავშირებით, — გვითხრა ბატონმა ფრიდონმა, — ორი ჩვენი თანამშრომელი — ექიმი და ინჟინერი გაემგზავრებიან ქალაქ გრაცში, რათა ადგილზე გასინჯონ ის აპარატურა, რომელიც უფასოდ გადმოგვეცემა. ამასთანავე, ჩვენი ინსტიტუტის ოთხი ახალგაზრდა სპეციალისტი სექტემბერში მონაწილეობას მიიღებს ვენაში გამართული ევროპის რადიოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, სადაც გათვალისწინებულია საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის გაწევრიანება ევროპის რადიოლოგთა საერთაშორისო ასოციაციაში. ამის თაობაზე, სულ ახლახან ვენაში ყოფნისას, საუბარი მქონდა ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტთან, პროფესორ ალბერტ ბაერთან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენი ასოციაცია მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია.

აღსანიშნავია, რომ პროფესორ ფრიდონ თოდუას, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, დიდი დამსახურება მიუძღვის თანამედროვე რენტგენოლოგიური მეთოდების გამოყენებასა და სრულყოფაში, რისთვისაც იგი 1990 წელს აირჩიეს ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად. იგი არჩეულია საერთაშორისო გასტროქირურგიული საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად, ჰეპატოპანკრეატოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად და ამერიკის რენტგენის სახელობის რადიოლოგთა საზოგადოების წევრად, ხოლო მის მიერ ჩამოყალიბებული სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებით, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა რენტგენო-რადიოლოგიური სკოლის დიდი ტრადიციების აღორძინებას, რომლითაც საქართველო ერთ დროს ცნობილი იყო.

პროფესორ თოდუასთან საუბრისას, იგი ხშირად თვალს ადევნებდა თავის საწერ მაგიდაზე დადგმულ დისპლეის ეკრანს, რომელზეც დროდადრო ადამიანის ამა თუ იმ ორგანოს გამოსახულება ჩნდებოდა.

— კარგია, ზუსტი მონახაზია, ახლავე მოვდივარ, — ჩასძახა მან მიკროფონში, ბოდიში მომიხადა და იმ ოთახისაკენ გაემართა, სადაც ინსტიტუტის მთავარი სადიაგნოსტიკო აპარატი — კომპიუტერული ტომოგრაფია დამონტაჟებული, მისი ნებართვით, ბატონ ფრიდონს მეც გავყევი.

...სამართავ პულტთან რამდენიმე ექიმი ინტერესით ადევნებდა თვალს დისპლეის ეკრანს. სქელი მინის კედლის მიღმა, ოთახის შუაგულში, სპეციალურ საწოლზე ავადმყოფი იწვა, სწორედ მის ორგანოს, კერძოდ, თირკმელზე აღმოჩენილ სიმსივნურ წარმონაქმნს ამოწმებდნენ. პროფესორი პუნქციისათვის მოემზადა, აპარატის მიერ ზუსტად მითითებულ მარცხენა თირკმლის არეში ნანახ მოცულობით წარმონაქმნში, დიაგნოზის დასაზუსტებლად, კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლის ქვეშ პუნქციისათვის სპეციალური ნემსი შეიყვანა. დისპლეის ეკრანზე ნემსის მდებარეობა გამოჩნდა. ორიოდე წუთიც, და პროფესორი იღებს ქსოვილს მორფოლოგიური გამოკვლევისთვის. ლაბორატორიაც აქვეა, პირველ სართულზე.

პროფესორმა ფრიდონ თოდუამ მსოფლიოში პირველმა პრაქტიკაში დანერგა იცენკო-კუშინგის დაავადებისას თირკმელზედა ჯირკვლის პუნქცია, მისი ფუნქციის დათრგუნვის მიზნით, ამ მეთოდს ახლა წარმატებით იყენებენ უცხოეთის მრავალი ქვეყნის კლინიკებში. შეიმუშავა უსისხლო მანიპულაციები სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობაში. მან პირველმა შეიმუშავა ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლის ქვეშ.

და კიდევ მრავალი სიახლის ავტორია ქართველი მეცნიერი, რისთვისაც მას მიღებული აქვს გამომგონებლის ხუთი საავტორო მოწმობა, რამდენიმე სახელობითი, მათ შორის სსრკ სახელმწიფო პრემია, ავტორია 252 სამეცნიერო შრომისა, ხუთი მონოგრაფიისა. ამასთანავე იგი თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდა სპეციალისტებს, მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 18 საკანდიდატო დისერტაცია. ამჟამად კი სრულდება ათი საკანდიდატო და სამი სადოქტორო დისერტაცია.

ვეცნობით ამ ახალგაზრდა, ენერგიულ, ყოველმხრივ განათლებულ, ფართოდ მოაზროვნე მეცნიერს და გული გვწყდება, რომ რამდენი ქართველი სპეციალისტი მოღვაწეობს ამჟამად ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და სამშობლოში დაბრუნების მაგივრად ბევრი საზღვარგარეთ მიდის სამუშაოდ იმ დროს, როცა ჩვენს სამშობლოს ყველაზე მეტად ახლა სჭირდება მათი ცოდნა და გამოცდილება.

თავად, ამ სამიოდე წლის წინათ, როცა, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა თხოვა მოსკოვიდან სამუშაოდ გადმოსულიყო, უყოყმანოდ დათანხმდა. მიატოვა მოსკოვის ა. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში მის მიერ ორგანიზებული, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილება, სადაც აწყობილი ჰქონდა საქმე და დიდი მომავალიც ელოდა. ბატონი ფრიდონი აქ, სამშობლოში გაათკეცებული ენერგიით, თავდაუზოგავად შეუდგა მასზე დაკისრებულ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას. და კიდევაც გაამართლა მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა იმედები — ჩამოაყალიბა თანამედროვე იმპორტული სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი დიაგნოსტიკური ცენტრი, სადაც ავადმყოფთა კვლევა ხდება ევროპული სტანდარტების დონეზე. მან გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი, მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტები. რითაც საქართველოში მკვეთრად გაუმჯობესდა დაავადებათა დიაგნოსტიკა მის ადრეულ სტადიაზე. ასე რომ, ახლა ჩვენს თანამემამულეებს აღარ დასჭირდებათ სადიაგნოსტიკოდ უცხოეთში წასვლა. აქვე, თბილისში, დაუდგენენ ზუსტ დიაგნოზს და უმკურნალებენ კიდეც.

ლარისა ხუზულური.

პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებში

მშვიდობისათვის კავკასიაში

უაღრესად დროული და კეთილშობილური ინიციატივა გამოიჩინა საქართველოს სამართლიანობის პარტიამ, რომელმაც შეხვედრისა და დიალოგისაკენ მოუწოდა მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს და თავად იკისრა ყველა ორგანიზაციული საკითხის მოგვარება. საკმაოდ ხანგრძლივი და არც თუ იოლი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, შეხვედრა შედგა. მასში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოსვლით თავისი კეთილი ნება დაადასტურეს აზერბაიჯანულმა პარტიამ „იურდდაშმა" („თანამემამულე") და შემდეგმა ორგანიზაციებმა სომხეთიდან: სომხეთის რევოლუციურმა ფედერაციამ „დაშნაკცუთიუნმა", კავშირმა „კონსტიტუციური სამართალი", აღმოსავლეთ-სომხურმა ეროვნულ-კონსერვატიულმა კლუბმა „ყარანგმა", და სომხეთის რესპუბლიკურმა პარტიამ. საქართველოს მხრიდან, სამართლიანობის პარტიის გარდა, დიალოგში მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო ფრონტი და მწვანეთა პარტია. სამმხრივი დიალოგის მონაწილეებს შეხვდა და თავისი მოსაზრებები გაუზიარა საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ.

დიალოგი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ მწვავე, რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა. იგი თითქმის დღენახევარს გაგრძელდა. მოლაპარაკების მონაწილეებმა, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, გარკვეული კომპრომისების ფასად, ხელი მოაწერეს კომუნიკეს შეხვედრის შედეგების შესახებ. კომუნიკეში, კერძოდ, დადასტურებულია შეხვედრის მონაწილეთა სწრაფვა, მიაღწიონ კავკასიის რეგიონში ომის შეწყვეტას, ითანამშრომლონ ეფექტიანი პოლიტიკური მექანიზმის შესამუშავებლად კონფლიქტური საკითხების გადაწყვეტისათვის.

შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, შექმნან მრავალმხრივი მუშა ჯგუფი საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დამყარებული სამუშაო დოკუმენტების შესაქმნელად და შემდგომი შეხვედრების მოსამზადებლად.

მაია ალფაური.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საკონსტიტუციო თათბირი მუშაობას განაგრძობს

მოსკოვში მუშაობას განაგრძობს საკონსტიტუციო თათბირი. მისი მონაწილეები მუშაობენ სექციებში, აანალიზებენ ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პრეზიდენტისეულ და პარლამენტის ვარიანტებს, იხილავენ შემოსულ წინადადებებსა და შენიშვნებს. როგორც პრეზიდენტის საბჭოს წევრმა სერგეი ალექსეევმა განაცხადა, შემოსულ შენიშვნებში ასახულია ხალხის ნება დამყარდეს ქვეყანაში მტკიცე, მოქმედებისუნარიანი ხელისუფლება. თათბირის მონაწილეთა უმრავლესობამ უკვე გამოთქვა თავისი აზრი კონსტიტუციის პროექტზე და მხარი დაუჭირა რუსეთში საპრეზიდენტო რესპუბლიკის შემოღებას. ამის წინააღმდეგ კვლავ გამოვიდა პარლამენტის თავმჯდომარე რუსლან ხასბულატოვი. პრესისათვის ინტერვიუში მან თქვა, რომ პარლამენტი შეძლებს დაიცვას დემოკრატია და წინ აღუდგეს ახალ დიქტატორულ და ავტორიტარულ ტენდენციებს, რომ ვერავინ შეძლოს დაითხოვოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები, მოსპოს საბჭოები.

თათბირის კულუარებში გამოითქვა აზრი, რომ შესაძლებელი იქნება კონსტიტუციის ორივე პროექტის საფუძველზე ერთიანი შეთანხმებული ვარიანტის შემუშავება. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა მოსაზრების მიუხედავად, თუ რომელ ვარიანტს მიანიჭონ უპირატესობა, დაპირისპირება პოლიტიკურ ძალებს შორის ძირითადად ეხება კარდინალურ პრობლემას — გახდეს რუსეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკა თუ დარჩეს საბჭოების რესპუბლიკად.

თითო აბზაცით

▲ **გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბუტროს გალი ტუნისში შეხვდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარეს ი. არაფატს. შეხვედრის დროს განიხილეს ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების შესახებ არაბეთ-ისრაელის მოლაპარაკებასთან დაკავშირებული პრობლემები, აგრეთვე სიტუაცია ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე. ი. არაფატმა მოითხოვა მოხსნან „ეკონომიკური ბლოკადა ოკუპირებულ მიწებს", რომელიც ისრაელმა დააწესა.

▲ **ლიბერიის** მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მასობრივი რბევა მოაწყვეს ეროვნულ პატრიოტული ფრონტის აჯანყებულებმა, რომლებმაც შაბათს იერიში მიიტანეს დასახლებულ პუნქტებზე დასავლეთ აფრიკის ამ ქვეყნის დედაქალაქიდან 50 კილომეტრზე. როგორც მონროვიიდან იუწყებიან, ქალაქებში დოლოში, ბოდინვეისა და ჰარბელში შეჭრილმა ეროვნული პატრიოტული ფრონტის მებრძოლებმა დახვრიტეს და მაჩეტეებით აჩეხეს 250 კაცი.

„ეს ბიძგია მეტად სარისკო, აზარტული თამაშისკენ, რომლის მოგების ალბათობა თითქმის ნულია“

ამბობს 27-28 მაისს რომში გამართული „ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ევროპული მარშრუტების“ კონფერენციის მონაწილე, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიციის პოლკოვნიკი ჯემალ ჯანაშია.

— ამ კონფერენციის გამართვის ადგილად რომის არჩევა, ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა და რაღაც კონკრეტული მიზეზებით იყო განპირობებული.

— რასაკვირველია. იტალიის ხელისუფლება ერთობ შეშფოთებულია თავის ტერიტორიაზე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მასშტაბით და იმით, რომ იტალია ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად იქცა. მეორეც, სერიოზული ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, ქვეყანაში მაინც მძიმე ნარკოტიკული სიტუაციაა, მაგრამ უმთავრესი, მიზეზთა-მიზეზი მაინც ის არის, რომ ევროგაერთიანების თორმეტმა ქვეყანამ იტალიას მიუთითა მის ტერიტორიაზე არსებული უაღრესად რთული კრიმინოგენური სიტუაციის, მაფიის თარეშის შესახებ, რაც, თავის მხრივ, მეტად უარყოფით გავლენას ახდენს მთელი ევროპის ოპერატიულ ვითარებაზე. ეს ძირს უთხრის ევროპული ქვეყნების ეკონომიკის სტაბილურობასაც, რადგან დანაშაულებრივი გზებით ნაშოვნი ფულის გათეთრება ხშირად სახელმწიფო სტრუქტურებში ხდება.

სწორედ ამ პრობლემების გამო, ნარკომაფიის და ორგანიზებული დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფორმებისა და მეთოდების შესამუშავებლად მიიწვია იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბატონმა მანჩინომ ევროპისა და აზიის 40 ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრები დელეგაციების თანხლებით. მაფიის რეაქცია მინისტრის ამ გადაწყვეტილებაზე ოპერატიული იყო და უკვე ჩვენი ჩასვლის დღეს ფლორენციაში მოხდა იტალიისათვის ერთ-ერთი უდიდესი ტერორისტული აქტი — ააფეთქეს სახელგანთქმული ფლორენციის უფიცის მუზეუმი, რომელსაც ხუთი ადამიანის, ამ შენობის დამცველისა და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლე შეეწირა, განადგურდა მსოფლიო მნიშვნელობის ფერწერული ტილოები. იტალიის კრიმინალური პოლიციის უფროსის ბატონ პარიზის სიტყვებით, მაფიას ადრე მსგავსი რამ არასდროს ჩაუდენია.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამდენიმე დღით ადრე, ევროგაერთიანების თორმეტი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ ნარკომაფიისა და ორგანიზებული დანაშაულობების წინააღმდეგ ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნის და ამ მიმართულებით ერთიანი ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ამით იქმნება ერთიანი ევროპული პოლიცია, რომელიც უდავოა უფრო ოპერატიულად და შედეგიანად გადაჭრის ამ კონტინენტის ქვეყნების წინაშე არსებულ პრობლემებს. ბევრი სხვა ხელშეკრულებაც დაიდო. თავიანთი თანამშრომლობა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ოფიციალურად გააფორმეს ბელორუსიისა და იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, იგივე, ცოტა ადრე, გააკეთა რუსეთმა, მოკლე ხანში ამასვე აპირებენ უკრაინა და ყაზახეთი.

რომის კონფერენციის მსვლელობამ, მე და დელეგაციის მეთაურ ბატონ გია გულუას დაგვანახა, რომ იტალიის ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოები ნამდვილად ებრძვიან ზემოხსენებულ პრობლემებს და ამ საქმეში მათ ქვეყნის ხელისუფლების დიდი მხარდაჭერა აქვთ.

— ცნობილია, რომ სიტუაციის მიხედვით, ხშირად იცვლება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ევროპული მარშრუტი. როგორ გამოიყურება დღეს ამ მარშრუტების რუკა და „დატანილი“ არის თუ არა მასზე საქართველოს სახელმწიფო?

— იუგოსლავიის დაშლამ და პერმანენტულმა ომებმა ცნობილი ბალკანური მარშრუტი, რომელიც ამ ქვეყანაზე გადიოდა და რომლითაც ევროპაში ათეულობით ტონა სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება შედიოდა, აღმოსავლეთისკენ, რუმინეთში, გადმოსწია. ახლა ამ გზით ვრცელდება ევროპაში თეთრი სიკვდილი. მარშრუტი საქართველოზე გავლით უკვე აინტერესებთ სხვადასხვა ქვეყნის ნარკომაფიებს. მაგალითად, 1992 წლის 30 დეკემბერს ავღანეთიდან საქართველოს გავლით, სარფიდან ანკარაში ჩაიტანეს 1,5 ტონა ჰეროინი.

— ნუთუ ჩვენმა პოლიციამ არაფერი იცოდა ამის შესახებ?

— ეს ფაქტი ინტერპოლმა დააფიქსირა. ჩვენ არც შეგვატყობინეს, რადგან, ჯერჯერობით, არა ვართ მისი წევრები, არადა უნდა გავწევრიანდეთ, მით უმეტეს მაშინ, როცა აზერბაიჯანი და თვით სომხეთიც კი შედიან მასში.

— ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროპაში ნარკომაფიის და სხვა ორგანიზებული დანაშაულობების წინააღმდეგ ერთიანი სისტემის შექმნა სრულიად რეალურია. რამდენად მომზადებულია თქვენი სამსახური და მთლიანად საქართველო იმისათვის, რომ, როგორც თანასწორმა, სანდო და სრულუფლებიანმა პარტნიორმა მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში?

— რა დასამალია, ჩვენ მათ, ჯერჯერობით, ვერ შევედრებით, მაგრამ მზად არიან დაგვეხმარონ და ითანამშრომლონ. სანამ ერთიან ევროპულ სისტემაში ჩავებმებით, რამდენიმე, მეტად სერიოზული შინაური პრობლემის გადაწყვეტა მოგვიწევს. წარმოიდგინეთ, ჩვენ ჯერ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამაც კი არა გვაქვს. არსებობს კონცეფცია, რომლის საფუძველზეც უნდა აიგოს ზემოხსენებული პროგრამა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ეს პროცესი მეტად წინააღმდეგობრივი, რთული, კამათითა და ფიქრთა სხვადასხვაობით სავსე პროცესი იქნება, თუმცა ამის შესახებ ცოტა ქვემოთ.

გადაუდებელი ამოცანაა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შიდარესპუბლიკური ერთიანი სისტემის ორგანიზება, სადაც ყველა დაინტერესებულ სამინისტროს, უწყებას, კერძო საწარმოს თუ პირს ექნება თავისი ადგილი და ეცოდინება, თუ როდის, რა და როგორ უნდა აკეთოს. საძიებელია ეროვნული პროგრამის დაფინანსების წყაროებიც. როგორც ჩანს, ჩვენ ძალიან ძველი, დრომოჭმული, ინერტული კანონებით ვცხოვრობთ — გვინდა მაქსიმალურად მოვიგოთ, ისე რომ, საქმეში კაპიკიც არ ჩავდოთ. თუნდაც ჩვენი, ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველო ავიღოთ. იგი შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მონდომებითა და ძალისხმევით, ამავე სამინისტროს შიდა რეზერვების ხარჯზე. უპირატესად სამძებრო სამმართველო დაზარალდა, რადგან, იძულებული ვიყავით, ჩვენი სამსახური სწორედ მისი შტატების ხარჯზე დაგვეკომპლექტებინა. არც რესპუბლიკის პარლამენტს, არც მთავრობას, საერთოდ არავის, ერთი გადაწყვეტილებაც არ მიუღიათ სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საკადრო პოტენციალის გაძლიერების, ამ დარგის სპეციალისტების უცხოეთში სტაჟირებაზე გაგზავნის, თუ საერთაშორისო მოწინავე ფორმებისა და მეთოდების დანერგვის შესახებ. ესეც რომ არ იყოს, ბოლო ათეული წლების მანძილზე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საკითხებში ჩვენს კანონმდებლობას იოტისოდენა ცვლილებაც კი არ განუცდია.

იტალიის ოპერატიული სამსახურები საქართველოს რესპუბლიკის კანონების მსგავსი კანონებით რომ მუშაობდნენ, მერწმუნეთ, ვერც ერთი იტალიელი ცხვირს ვერ გამოყოფდა გარეთ. იტალიაში ორდღიანმა ვიზიტმა დამანახა, რომ მხარდაჭერა და ხელშეწყობა თუ იქნება, ჩვენ შეგვიძლია საერთაშორისო, ევროპული სტანდარტების დონეზე მოვაწყოთ მუშაობა, უმოკლეს ხანში გავიაროთ წლობით სავალი გზა, დავეწიოთ ევროპას და, თუ საბოლოოდ ვერ დავამარცხებთ, გარკვეულად მაინც დავამუხრუჭოთ ნარკომანიის და ნარკობიზნესის პროგრესი.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ერთ ადგილს არ ვტკეპნით და პრობლემების გადაჭრის არასტანდარტულ, არატრადიციულ გზებს ვეძებთ. ბევრი ორგანიზაცია და კერძო პირი ინტერესს იჩენს ჩვენი მუშაობის შედეგებისადმი, მაგრამ იმ ველეშაპის დასამარცხებლად, რომელსაც ნარკომანია და ნარკობიზნესი ჰქვია, მარტო მორალური მხარდაჭერა არ კმარა. ყველა უნდა დაგვიდგეს გვერდში, მით უმეტეს მაშინ, როცა საშინელი სენი ყოველდღე ძლიერდება და ჩვენი სამსახური, ჯერჯერობით, ერთადერთია საქართველოში, რომელიც რეალურად შეებრძოლება თითოეული ჩვენგანის და მთელი ერის ამ უბოროტეს მტერს.

— ბატონო ჯემალ, უთუოდ საინტერესოა, მაინც როგორ ებრძვიან იტალიელები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას და მის უმძიმეს შედეგებს?

— იტალიაში უმკაცრესი სასაზღვრო კონტროლია (ჩვენი საზღვარი, მართლაც, ღია მინდორში დაყენებულ ჭიშკარს ჰგავს). უახლესი ტექნიკის გამოყენებით მოწმდება ნებისმიერი კატეგორიის ტვირთი, ყოველი მანქანა ისე შუქდება, როგორც ადამიანის ორგანიზმი რენტგენის კაბინაში. სხვათა შორის, ძაღლებსაც დიდი წარმატებით იყენებენ.

ვერტმფრენებსა და სპეციალურ ავტოტრანსპორტზეც რომ არაფერი ვთქვათ, თითოეული ოპერატიული მუშაკი უზრუნველყოფილია მსოფლიო სტანდარტების დონის ტექნიკით. ასევე გასაოცარია ის რიდი და მოწიწება, რომელსაც თითოეული მოქალაქე გამოხატავს პოლიციელის მიმართ.

— ასეთ საუკეთესო პირობებში მომუშავე, პროფესიონალი იტალიელები ვერაფერს უხერხებენ ნარკომაფიის თარეშს და ჩვენ რის იმედი უნდა გვქონდეს, ბატონო ჯემალ?

— სწორედ, ესაა საქმე: თუ მარტო ვიკამათებთ და სასოწარკვეთით თავში ხელს წავიშენთ, არაფერი გვეშველება, ისევ ჩვენ უნდა შევიქმნათ უკეთესი სამუშაო პირობები. ასეთი სავალალო, არასასურველი მდგომარეობის მიუხედავად, წლეულს ხუთ თვეში ნარკომანიის ხაზით რესპუბლიკაში 400-მდე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული (შარშან 192 იყო), ხოლო დამნაშავეთაგან წლეულს ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობამ წინა რამდენიმე წლის შედეგებს გადააჭარბა.

ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველო დღეს კლასიკური ნიმუშია ნარკომანიით მძლავრად დაზიანებული ქვეყნისა.

— ბატონო ჯემალ, ასეთ ვითარებაში რამდენად მისაღებია ზოგიერთი კომპეტენტური სპეციალისტის მოსაზრება ნარკოტიკების გარკვეული ლეგალიზაციის შესახებ?

— საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის კანონების ლიბერალიზაციის მომხრეები ორ ბანაკად არიან გაყოფილი. ერთნი საკუთრივ ნარკოტიკების ლეგალიზაციას უჭერენ მხარს, მეორენი კი ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციას.

ნარკოტიკების ლეგალიზაციის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ის პიროვნება, რომელიც პირადი საჭიროებისათვის ამზადებს, ინახავს ან გადაიტანს ნარკოტიკებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ უნდა მიეცეს, სხვანი უკვე ნარკოტიკების მოხმარებისათვის მოითხოვენ იგივე პასუხისმგებლობის გაუქმებას. მე მგონია, რომ ასეთი იდეების გამავრცელებლები ჩვენს ახალგაზრდობას მეტად სარისკო, აზარტული თამაშისკენ უბიძგებენ, რომლის მოგების ალბათობა თითქმის ნულია.

ერთმა ჩემმა ჩრდილოელმა კოლეგამ რატომღაც თქვა: ჩვენ ძალიან გვაწუხებს თქვენთან ნარკომანიის ხაზით რბილი კანონების მიღება, რადგან სიმძიმის ცენტრი სწორედ მაქეთ გადმოიწევსო. ახლა რუსეთის გამწარებული, პროგრესული საზოგადოებრიობა იბრძვის 1991 წლის 12 დეკემბრის ნარკოტიკების მიღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აკრძალვის მოსახსნელად. თუ ზემოხსენებული იდეის ავტორებს დავუჯერებთ, ჩვენც ხვალ იგივეს გაკეთება მოგვიწევს. რატომ გავიაროთ ერთი გზა ორჯერ?

საზოგადოების სხვადასხვა დონეზე არის უკიდურესი მოსაზრებაც ნარკოტიკების რეალიზატორების სიკვდილით დასჯის შესახებ. შეიძლება მასში არის ამ პრობლემის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის ერთ-ერთი გზის ძიების მცდელობა, თუმცა არსებული რეალური ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნაჩქარევი, ზერელე გადაწყვეტილებების მიღება არც ამ საკითხზე ივარგებს. 80-იანი წლების შუა ხანებში მალაიზიაში ორასამდე ასეთი განაჩენი ელოდა აღსრულებას. წავა ჩვენი ერი ამაზე?

მე მაქვს ჩემი ჩამოყალიბებული, არგუმენტირებული მოსაზრებები ამ საკითხებზე, რომელიც ცალკე საუბრის თემაა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა ერმა უნდა გადაწყვიტოს, თუნდაც რეფერენდუმის გზით და არა ცალკეულმა პიროვნებებმა.

— ბატონო ჯემალ, ამ პრობლემის ცივილიზებული ხერხით გადასაჭრელად რატომ არ მივმართავთ მსოფლიოს ჩვენზე განვითარებული ნაწილის გამოცდილებას?

— მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებისათვის გამოყენება დანაშაულად ითვლება. მაგალითად, იაპონიაში რბილი ნარკოტიკების (მარიხუანა) მოხმარება ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე, მძიმე ნარკოტიკებისა (ჰეროინი, კოკაინი) — 10 წლამდე. ტაილანდში კი შესაბამისად ერთ და 10 წლამდე.

გაეროს მონაცემებით, მსგავსი კანონები მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც არსებობს. საფრანგეთში ასეთი მოქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან ფულადი ჯარიმით ორმოცდაათიდან 5 ათას ფრანკამდე. საბერძნეთში — ორიდან ხუთ წლამდე, ოღონდ პიროვნება ნარკომანი არ უნდა იყოს, შვეიცარიაში — სამ თვემდე, თურქეთში — სამიდან ხუთ წლამდე, ეგვიპტეში — 15 წლამდე; ამერიკის უმეტესი შტატების კანონმდებლობითაც ნარკოტიკების მოხმარება დანაშაულია და ისჯება. ისე რომ, მცდარია აზრი, თითქოს ამერიკელები ნარკოტიკების მომხმარებლებს არ სჯიან! მოდით, დავფიქრდით, ნუ ვიქნებით ამერიკელებზე მეტი დემოკრატები! ასეთი კანონები ნარკოტიკების მოხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ იტალიაში 1991 წელს მიიღეს. იგივე კანონი გასული წლიდან შვეციაშიც მოქმედებს.

აქვე მოვიყვან გაეროს 1988 წლის კონვენციის მე-3 მუხლს, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს „აღიარონ დანაშაულად ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების პირადი გამოყენების მიზნით ყიდვა და გაყიდვა“, იგივე კონვენციის 68-ე მუხლი ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ან საკმაოდ სოლიდურ ჯარიმას ითვალისწინებს.

ბევრი რუსი ადვოკატი თვლის, რომ თუ კანონით დაშვებულია პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკების გამოყენება, მაშინ მისი დამზადება, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნაც არ უნდა დაისაჯოს. ასეთი მიდგომა, ფაქტობრივად, ნარკოტიკების ლეგალიზაციის დაკანონება იქნებოდა.

ნარკომანს საქართველოში დანდობა არ ექნება. ჩვენ მხოლოდ ნარკოტიკების რეალიზატორს და მომხმარებელ რიგით მოქალაქეებს როდი ვებრძვით, უკვე დავაკავეთ პროკურატურის, სხვადასხვა სამხედრო შენაერთისა და პოლიციის თანამშრომლები, რომლებსაც ნარკოტიკებთან უკანონო შეხება ჰქონდათ.

P. S. **13-16 ივნისს ანალოგიური კონფერენცია გაიმართება ბელორუსის დედაქალაქ მინსკში, სადაც მიწვეული არიან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური აპარატების ხელმძღვანელები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის, პოლონეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების დელეგაციებიც. მიზანი აქაც იგივეა: ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი, ეფექტიანი სისტემისა და საინფორმაციო ბანკის შექმნა.**

იქნებ ევროპამ მაინც აგვიყოლოს, ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლას ხომ არც რელიგიური და არც სახელმწიფოებრივი საზღვრები არ გააჩნია.

ზაურ მაკარაძე.

ღვარცოფი თბილისში

ავდრის ეპიცენტრი აეროპორტის მიდამოები იყო

8 ივნისს, ღამით თბილისელები შეაშფოთა უჩვეულო ავდარმა. დიდ ქარ-ქუხილს ისეთი თქეში და სეტყვა მოჰყვა, ისეთი ქარიშხალი დატრიალდა, თითქოსდა ქვეყანა იქცევაო. რამდენიმე წამში ქუჩები და სახლის სახურავები, აივნები სეტყვით თეთრად დაიფარა. ცოტა ხანში ავდარი ჩაცხრა. თუმც დილამდე სულ ელავდა და წვიმდა...

ამ მოვლენის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს, საქმთავარჰიდრომეტცენტრის სამმართველოს უფროსს ნიკოლოზ ბერაძეს.

— ვერ გეტყვით, რომ ასეთი ავდარი თბილისს არ დასტყდომოდეს — გვითხრა მან, — უარესიც ყოფილა, მაგრამ, ცხადია, იშვიათად. უკვე ერთი კვირაა ევროპის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებიდან საქართველოში ვრცელდება გრილი ჰაერის მასები, რასაც ყოველდღე წვიმები ახლავს ხოლმე.

8 ივნისს, საღამოს საათებში კვლავ შემოვიდა ცივი ჰაერი, რომელმაც თანდათანობით გავრცელება იწყო ჩვენს ტერიტორიაზე, ამავე დროს ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთი რაიონებიდან შემოიჭრა შედარებით თბილი და ნოტიო ჰაერის მასა. პროცესების ასეთი აღრევა უკვე 6 საათზე დააფიქსირა რადიოლოკატორმა, რომელმაც აგრეთვე აღნიშნა, რომ ღრუბლების სიმაღლემ 12-14 კილომეტრს მიაღწია. აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წვიმდა, მაგრამ ავდრის ეპიცენტრად მაინც თბილისის აეროპორტის მიდამოები იქცა. აქ ღამით მოვიდა 140 მილიმეტრი ნალექი, რაც იგივეა, ერთ ჰექტარ მიწაზე 1400 ტონა წყალი რომ ჩამოიღვაროს. თბილისის სხვა რაიონებში ნალექების რაოდენობა ნაკლები იყო, მაგალითად, დავით აღმაშენებლის პროსპექტის მიდამოებში აღინიშნა 39 მილიმეტრი, ხოლო აეროპორტის ახლოს, სამგორში — 50 მილიმეტრი...

გარდა ამისა 56 მილიმეტრი ნალექი მოვიდა ყვარელში, ახმეტაში — 30, ბოლნისში — 26 მილიმეტრი, აქაურობა საშინლად დაისეტყვა.

რადიოლოკატორული მონაცემებით, კახეთის რაიონებშიც უნდა ყოფილიყო სეტყვა, მაგრამ იმის გამო, რომ საწვავი არ არის, ჩვენი თანამშრომლები ადგილებზე ვერ მიდიან და ამიტომ, ჯერჯერობით, მონაცემები არა გვაქვს.

დასავლეთ საქართველოში უმნიშვნელო წვიმა მოვიდა.

პროგნოზით, ერთ-ორ დღეში გამოიდარებს, მერე ისევ იწვიმებს.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტოები.

ვისაც სურს გახდეს ბანკირი!

მუშაობას იწყებს პირველი სპეციალიზებული საბანკო ინსტიტუტი, რომელიც

აცხადებს

მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

1. საბანკო საქმე;
2. ბანკის ეკონომიკა;
3. ბანკის მენეჯერი;
4. საბანკო საქმის სამართალი;
5. ბუღალტრული აღრიცხვა ბანკებში;
6. საგარეო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები;
7. წარმოების ფინანსები;
8. დაზღვევა;
9. ბირჟის ეკონომიკა, ორგანიზაცია და ფინანსები;
10. აღრიცხვა სახალხო მეურნეობის დარგებში;
11. აღრიცხვა საფინანსო დაწესებულებებში.

აბიტურიენტები გასაუბრებას გაივლიან მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა მიეცემათ უდედმამოებსა და მრავალშვილიან ოჯახთა შვილებს, ხოლო სწავლაში წარჩინებულ და ობოლ სტუდენტებს მიეცემათ სტიპენდია.

ინსტიტუტში სტუდენტი მის მიერ არჩეულ სპეციალობასთან ერთად გაძლიერებული პროგრამით შეისწავლის უცხო ენებს და სამეურნეო სამართალს.

ინსტიტუტი თავის კურსდამთავრებულებს მიეხმარება საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში სამუშაოზე მოწყობაში.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. 1993-94 სასწავლო წლის 1 სემესტრის საფასური შეადგენს 40000, ხოლო გადარიცხვით 60000 მან. (მომდევნო სასწავლო სემესტრის საფასური დადგინდება ფულის ინფლაციის დონის შესაბამისად). გადახდა შეიძლება როგორც იურიდიული პირების მიერ, ასევე ინდივიდუალურად.

მეცადინეობა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენაზე.

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ:

1. განცხადება რექტორის სახელზე;
2. საშუალო განათლების ატესტატი (დიპლომი);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. ცნობა ჯანმრთელობის თაობაზე (ფ. № 086);
5. ოთხი ცალი ფოტოსურათი (3X4);
6. პასპორტი და სამხედრო ბილეთი, ან მიწერის მოწმობა — პირადად. საბუთების მიღება იწარმოებს 14 ივნისიდან 12 ივლისამდე.

10-დან 17 საათამდე (გარდა შაბათ-კვირისა), აბიტურიენტთა შერჩევა, გასაუბრება და ჩარიცხვის გაფორმება ტარდება 12 ივლისიდან 19 ივლისამდე. სწავლის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს კონტრაქტების გაფორმებიდან 1 კვირის განმავლობაში.

გახსოვდეთ! მომავალი ეკუთვნით ბანკებს, ქვეყნის ფულადი ბრუნვის ცენტრებსა და მის ორგანიზატორებს!

ინსტიტუტის მისამართია: ქ. თბილისი, კიევის ქ. № 4 (80-ე სკოლის შენობა). ინსტიტუტის სამდივნო.

ტელეფონი: 96-86-41, 95-92-57.

რექტორატი.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტი

(ინსტიტუტი საბიუჯეტოა, სწავლება უფასოა)

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

დღის სწავლება:

— საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერი.

— კომერციული საქმიანობის მენეჯერი.

— მასობრივი კვების ტექნოლოგ-კომერსანტი.

დაუსწრებელი სწავლება:

— კომერციული საქმიანობის მენეჯერი.

— მასობრივი კვების ტექნოლოგ-კომერსანტი.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე 4-დან 15 ივლისის ჩათვლით 9-დან 17 საათამდე;

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი;
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
3. ექვსი ფოტოსურათი (3X4).

პასპორტსა და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

აბიტურიენტები საბუთების შეტანის დროს მომსახურეობისათვის გადაიხდიან 500 კუპონს.

მისაღები გამოცდები ჩატარდება:

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
2. უცხო ენა (ზეპირი).
3. მათემატიკა (ზეპირი).

კომერციული საქმიანობის მენეჯერისა და მასობრივი კვების ტექნოლოგ-კომერსანტის სპეციალობებზე (სწავლების ორივე ფორმაზე)

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
2. მათემატიკა (ზეპირი).
3. ქიმია (ზეპირი).

გამოცდები დაიწყება 17 ივლისს.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს სამხედრო კათედრა, რომელიც ანიჭებს თადარიგის ზურგის ოფიცრის წოდებას.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი სტიპენდიას მიიღებენ საერთო წესის მიხედვით.

მისაღები გამოცდების ორგანიზაციასთან დაკავშირებით ინსტიტუტში იმუშავებს ცნობათა ბიურო ტელ.: 66-23-41.

ინსტიტუტს გააჩნია საკუთარი ავტობუსები, რომლებიც № 777 მარშრუტით მოძრაობენ რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან ინსტიტუტამდე, გარდა ამისა საქალაქო მარშრუტის № 222 ავტობუსი და № 2 ტრამვაი.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი, ლოტკინის მთის დასახლება, სამღერეთის ქ. № 5, ტელეფონი: 66-14-28, 66-99-16.

ახალი წიგნი

„დიპლომატიის ანბანი“



ქართული წიგნის თაროს ერთი მეტად საჭირო და აუცილებელი წიგნი შეემატა. ის გახლავთ ჰამლეტ ჭიპაშვილის „დიპლომატიის ანბანი“, რომელიც ფირმა „იანუსის“ ეგიდით გამოიცა.

წიგნში თანამედროვე დიპლომატიის სტანდარტების დონეზე განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი — დიპლომატიური ოქმი, თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ამ ნორმის მიღებული და აღიარებული ცერემონიალის წესების დაცვა; სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპები; საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემის საკითხები; დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება; წარმომადგენლობის დანიშვნა — გამოწვევა; დიპლომატიური მიმოწერა; დიპლომატიური კორპუსი და უფროსობის წესი დიპლომატიურ კორპუსში, საკონსულოს საგენტოთა ფუნქციები; კონსულის უფლებამოსილებანი და პრივილეგიები.

წიგნში ფართოდ განხილული და ანბანურ ჭეშმარიტებამდეა დაყვანილი მაღალი რანგის სტუმრის მიღება, მოხერხებული დიპლომატიური ხელმძღვანელის საიდუმლოება;

ავტორის მახვილ თვალს არ გამორჩენია საკითხთა მთელი წყება ადამიანის შინაგანი და გარეგანი კულტურის, ეთიკის ნორმების შესახებ.

წიგნის ავტორის, რესპუბლიკის პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელის ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილის მდიდარი ცოდნა დიპლომატიურ საკითხთა სპექტრში იმ დიდი გამოცდილების ნაყოფია, რომელიც მან მრავალი წლის მუშაობის შედეგად შეიძინა და დააგროვა სააქციო საზოგადოება „ინტურისტში“, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში მოღვაწეობის წლებში, საბჭოთა დიპლომატიის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შედეგად.

წიგნის გამოცემის მენეჯერია ქალბატონი ნანა მანჯგალაძე.

„დიპლომატიის წიგნის“ შეძენა შეგიძლიათ „საქწიგნის“ შემდეგ მაღაზიებში:

მაღაზია № 1, რუსთაველის პრ. 28

მაღაზია „ნოტები“, რუსთაველის პრ. 32

მაღაზია „ივერია“, კოსტავას ქ. 23

საქართველოს რესპუბლიკა

ძვირფასო მკითხველო!

დაიწყო და ყველა საფოსტო განყოფილებაში შეუფერხებლად მიმდინარეობს „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა წლის მეორე ნახევრისათვის.

ჩვენი პრინციპია — მკითხველისთვის და მკითხველთან ერთად!
ჩვენი კრედოა — ეროვნული შერიგება, დემოკრატია, თავისუფლება და კეთილდღეობა!
თუ ჩვენთან ხართ — გამოიწერეთ «საქართველოს რესპუბლიკა».

სამწუხაროდ, როგორც ყველაფერი, გაზეთის გამოცემაც გაძვირდა, ამიტომ მოიმატა ხელმოწერის ფასმა, მაგრამ იგი მაინც ნაკლებია „საქპრესის“ ჯიხურებში გასაყიდი გაზეთის ნომრის ფასზე.

1 ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით გაზეთის გამოწერა მხოლოდ 1320 კუპონი დაგიჯდებათ, 3 თვით — 660, ხოლო ერთი თვით — 220 კუპონი.

ჯიხურებში „საქართველოს რესპუბლიკა“ მინიმუმ 15 კუპონად გაიყიდება.

გაცნობებთ, რომ ყველას, ვისაც წლის ბოლომდე გამოწერილი აქვს ჩვენი გაზეთი, დაპირებისამებრ, დაუბრკოლებლად, ფასთა სხვაობის დამატების გარეშე, შინ მიუვა „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა ნომერი.

საქართველოს რესპუბლიკა

გუვერნიორთა კოლეჯი

ქ.თბილისის გუვერნიორთა კოლეჯი იწვევს ცხრაკლას და სკოლადამთავრებულ (აგრეთვე X და XI კლასის) გოგონებსა და ვაჟებს.

კოლეჯის ძირითადი სპეციალობებია: 1. საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები; 2. ფართო პროფილის გუვერნიორები (უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით).

კოლეჯში მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთები: 1. დაბადების მოწმობის ასლი; 2. ატესტატის ან ცხრა კლასის დამთავრების მოწმობის ასლი ან ცნობა; 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ — ფორმა №227; 5. ფოტოსურათი 3X4.

საბუთების მიღება იწარმოებს 10 ივნისიდან 17 ივლისამდე. გასაუბრება დაიწყება 21 ივლისს — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში. აბიტურიენტს გაესაუბრება ფსიქოლოგი. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. კოლეჯში სწავლა ფასიანია. შეღავათი გაეწევათ მრავალშვილიანებსა და მრავალშვილიანი ოჯახის შვილებს, წარჩინებულებს შეუმცირდებათ გადასახადი.

კოლეჯის მისამართია: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 178, №18 სკოლის შენობა, ცნობებისათვის დარეკეთ: 31-67-76, 31-36-09.

ყურადღება!

კონცერნი „საქნავთობპროდუქტი“ აცნობებს სამინისტროებსა და უწყებებს, რომ რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ ხერხდება თანხების გადარიცხვა ნავთობპროდუქტების შესაძენად მომწოდებელ ქარხნების ანგარიშზე. დღეისათვის კონცერნის დებიტორული დავალიანება შეადგენს სამ მილიარდ მანეთს.

გთხოვთ სასწრაფოდ დაფაროთ დავალიანება და მოახდინოთ კონცერნის ანგარიშზე თანხის წინასწარი ჩარიცხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში დავალიანების მქონე ორგანიზაციებს შეუწყდებათ ნავთობპროდუქტებით მომარაგება.

საქართველოს დემოკრატიული კავშირის მთავარი კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ავთანდილ მარგიანს დედის ზაბილინა დმიტრის ასულ იოსელიანი-მარგიანის გარდაცვალების გამო.

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული კავშირი“ თანაუგრძნობს ავთანდილ მარგიანს დედის გარდაცვალების გამო.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 12 ივნისს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА